

საპროტესტო აქცია
A3



ალი მეჰმედ აგჯა კვლავ დააპატიმრეს
A4



პრესომბუდსმენი
A5


# 24 საათი

www.24saati.ge

ყოველდღიური

ორშაბათი, 23 იანვარი, 2006 წელი. №13 (1165)

ფასი 50 თეთრი


© გაზეთი 24 საათი

## ამბები

### "ფრინველის გრიპის შიშით ანკესზე არ წამოეგოთ"

გასულ კვირას ქართულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართველმა ჰომეოპათებმა ფრინველის გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატი გამოიგონეს. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამ ინფორმაციას არასერიოზულად მიიჩნევენ, თუმცა მაინც შიშობენ, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი შეიძლება ანკესზე წამოეგოს.

A2

## ამბები

### უგუნური პოლიტიკა და თანმიმდევრული ნაბიჯები

რუსეთის ოფიციალური პირები თავისი წარსულის მიმართ არაკრიტიკულ დამოკიდებულებას მხოლოდ ოკუპანტი წითელი არმიის მემორიალზე ყვავილების მიტანაში რომ ამჟღავნებდნენ, მაშინ მისი მეზობლობა ნამდვილად ღვთის წყალობა იქნებოდა.

A3

## სპორტი

### როდიკსაც შესწვდნენ

ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე მეორე ნომრად განთესილი ამერიკელი ენდი როდიკი დაემშვიდობა ასპარეზობას. მრისხანე ამერიკელი 20 წლის კვიპროსელმა მარკოს ბაგდატისმა გამოთიშა ტურნირიდან და ეს საკმაოდ იოლად მოახერხა - 6:4, 1:6, 6:3, 6:4.

A7


ვაკის საცურაო აუზი და ფიტნეს კლუბი, მიუხედავად ენერგეტიკული პრობლემებისა, ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას.



საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 23/01 | 24 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | 5 | -3 |
| ტყიბული | 5 | -2 |
| სოხუმი | -2 | -4 |
| გორი | 3 | -7 |
| ონი | -2 | -13 |
| ზუგდიდი | 5 | 0 |
| ახმეტა | 4 | -4 |
| გაგრა | -1 | -3 |
| სამტრედია | 7 | 1 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8075 |
| ევრო | 2.1802 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1716 |
| რუბლი | 0.0639 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პრესომბუდსმენი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| სტუმარი | A 8 |


# ენერგოშეტევა საქართველოზე

## "ლიბერალური იმპერიის" საპასუხო დარტყმა

დიმიტრი ავალიანი

*ენერგეტიკული ომი, რომელსაც აქამდე რუსეთი ენერგომატარებლებზე ფასებით მანიპულირებითა და შანტაჟით აწარმოებდა, "ცხელ" ფაზაში გადავიდა. "იდუმალმა ტერორისტებმა" საქართველოში შემომავალი ორი გაზსადენი და ელექტროგადამცემი ხაზი ერთდროულად ააფეთქეს. საქართველოს ხელისუფლებამ დამნაშავედ რუსეთის ფედერაცია გამოაცხადა და მას გაზისა და ელექტროენერგიის მოწოდების რაც შეიძლება სწრაფად აღდგენა მოსთხოვა. მოსკოვი თბილისს გაღიზიანებული და მუქარანარევი განცხადებით პასუხობს.*

გაგრძელება A2 გვერდზე



## რუსეთის ეკონომიკური იმპერიალიზმი

ვლადიმერ პაპავა
ფრედერიკ სტარი

დასავლეთში დიდი შეშფოთება გამოიწვია უკრაინის მიმართ ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლის მიზნით ბუნებრივი აირის გამოყენებამ რუსეთის მიერ. მაგრამ, საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის მიერ განხორციელებული ზომები, ნაკლებად შესამჩნევი, თუმცა, გაცილებით "შთამბეჭდავი" გახლავთ.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი საქართველოში, ისევე, როგორც უკრაინაში, ეგრეთ წოდებული "ლიბერალური იმპერიის" დოქტრინის სისრულეში მოყვანას გეგმავს. დოქტრინის, რომელიც ჯერ კიდევ 2003 წლის ოქტომბერში რუსეთის გაერთიანებული ენერგოსისტემის (პა ვცჟ) თავმჯდომარის ანატოლი ჩუბაისის მიერ იქნა შეთავაზებული და, რომელიც რუსეთის ენერგეტიკულ მონოპოლიას ითვალისწინებს.

ჩუბაისის აზრით, რუსეთისათვის არასოდეს მოიძებნება ღირსეული ადგილი არც ნატო-ში და არც ევროკავშირში. ამდენად, რუსეთმა უნდა შექმნას საკუთარი ახალი იმპერია - ალტერნატივა ორივე აღნიშნული ორგანიზაციისათვის. ამის გაკეთება კი შესაძლებელია ქვეყნის უდიდესი და უმდიდრესი სახელმწიფო თუ კერძო მონოპოლიების გამოყენებით, რათა საკუთარი კონტროლის ქვეშ მოაქციოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის მნიშვნელოვანი - მრეწველობისა და ეკონომიკის სფეროები. ეს კი პოლიტიკური ბატონობის შესაძლებლობას შექმნის. შედეგად, ჩუბაისის შეფასებით, სახეზე იქნება ლიბერალური იმპერია, რომლის მართვაც ფულის და არა ტანკების მეშვეობით გახდება შესაძლებელი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## საგანგებო მდგომარეობა ენერგომომარაგებაში

*თბილისის გაზმომარაგების აღდგენა დღეს ისანი-სამგორის რაიონიდან დაიწყება. შემდეგ ბუნებრივი აირის მიწოდება თემქას და გურამიშვილის გამზირს აღუდგება. ამის შესახებ "თბილგაზის" გაკოტრების მმართველმა გიორგი გვიჩიანმა მთავრობის საგანგებო სხდომაზე განაცხადა. "გაზპრომი" საქართველოს ბუნებრივ აირს აზერბაიჯანის გავლით მიაწვდის. დღის განმავლობაში გაზის მიწოდება აღუდგება დიდ დიღომს, ნუცუბიძის მიკრო-რაიონებსა და ვაჟა-ფშაველას კვარტლებს. დღეისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება ვერ მოესწრება ჩუღურეთის, გლდანის რაიონებისა და ნაძალადევის რაიონის ნაწილისათვის. თუმცა, ერთი კვირის განმავლობაში თბილისის გაზმომარაგების სისტემა სრულად დაიტვირთება.*

დიანა ჩაჩუა

გუშინ, ქვეყნის ენერგომომარაგებაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ განსხვავებული სქემით, თუმცა მაინც მოახერხა რუსული ბუნებრივი აირის იმპორტის აღდგენა. ღამის 10 საათისთვის თბილისის გაზმომარაგების სისტემას უკვე შეეძლო ბუნებრივი აირის მიღება, თუმცა უსაფრთხოების მიზნით, გაზის გაშვება დილისთვის გადაიდო.

ყველაფერი გუშინ გამთენიისას, ზემო ლარსის გამშვები პუნქტის მახლობლად დაიწყო. დილის 4.30 საათზე, აფეთქება მოხდა 1200-მილიმეტრიან გაზსადენზე, რომლითაც საქართველოს რუსეთიდან ბუნებრივი აირი მოეწოდება და 700-მილიმეტრიან სარეზერვო მილსადენზე, რომელშიც გაზი არ გადიოდა. აფეთქებამდე ერთი საათით ადრე დაზიანდა 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "კავკასიონი", რის შედეგადაც რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტიც შეწყდა. სამივე ინციდენტი რუსეთის ტერიტორიაზე მოხდა.

დილიდან "თბილგაზი" მაქსიმალურად ცდილობდა მილებში წნევის შენარჩუნებას, თუმცა ყოველ 10-15 წუთში წნევა 0,1 ერთეულით ეცემოდა. გუშინ ბუნებრივი აირი არც ერთ საწარმოს არ მიეწოდებოდა. გამონაკლისი სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები იყო. "თბილგაზმა" გაზმომარაგება ორგანიზაციებს და კომპანიებსაც შეუწყვიტა, რათა მილსადენში დარჩენილი აირის მოცულობა თბილისს ცოტა ხანი კიდევ ჰყოფნოდა. თუმცა, დღის ბოლოსთვის გაზის მიწოდება თბილისის თითქმის ყველა რაიონს შეუწყდა.

დღის განმავლობაში ბუნებრივი აირის იმპორტის ალტერნატიულ ვარიანტებს განიხილავდნენ. საბოლოოდ გადაწყდა, რომ საქართველოსა და "გაზპრომის" წარმომადგენლებს შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად, "გაზპრომი" აზერბაიჯანს გაზის მიწოდებას გაუზრდის.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "ოცნების კაბინეტის" პრემიერი

## რაც დღეს თქვენთან ხდება, ჩვენთვის სიახლე არ არის

მაია ჭალაგანიძე

**მარტ ლაარი:** დაიბადა 1960 წლის 22 აპრილს ესტონეთში. დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი ტარტუს უნივერსიტეტში და მაგისტრატურა ფილოსოფიაში. საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპაციის დროს მარტ ლაარი მონაწილეობას იღებდა დაუმორჩილებლობის მოძრაობაში. მისი პირველი წიგნი, ესტონეთის ისტორიის შესახებ, გამოიცა 1981 წელს. 1987 წელს ლაარი იყო ესტონეთის კულტურული მემკვიდრეობის საზოგადოების - Estonian Heritage Society-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელიც გახლდათ პირველი ეროვნული ორგანიზაცია "გარდაქმნის" პერიოდში.

გაგრძელება A8 გვერდზე



# იბრაჰიმ რუგოვა - ლიდერი სახელმწიფოს გარეშე

## "ბალკანელი განდი" გარდაიცვალა - მოლაპარაკებები კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებით გადაიდო

ხათუნა გაბიევი

კოსოვოს ალბანელი პრეზიდენტი, 61 წლის იბრაჰიმ რუგოვა, რომელმაც ცხოვრების 15 წელიწადი დომინანტი სერბეთისაგან კოსოვოს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლას შესწირა, შაბათს პრიშტინაში საკუთარ რეზიდენციაში გარდაიცვალა.

როგორც პრეზიდენტის პრესმდივანმა, მუჰამეთ ხამიტიმ განაცხადა, "პრეზიდენტი ოჯახის წევრების გარემოცვაში გარდაიცვალა". იბრაჰიმ რუგოვას ექიმებმა გასული წლის სექტემბერში ფილტვების კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, რის შემდეგაც აწ გარდაცვლილი პრეზიდენტი ქიმიური თერაპიის კურსსაც გადიოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე




## "დემოკრატიული ფრონტი" ხელისუფლებას მხარდაჭერას უცხადებს

ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრები საქართველოს ხელისუფლებას მხარდაჭერას უცხადებენ, პოლიტიკურ ძალებს კი კონსოლიდაციისკენ მოუწოდებენ. ამის თაობაზე ფრაქციის ლიდერებმა მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარ დივერსიასთან დაკავშირებით გამართულ საგანგებო პრესკონფერეციაზე განაცხადეს.

"ჩვენ არ ვაპირებთ, რომ მომხდარი ფაქტი სოციალური უკმაყოფილების ტალღის აგორებისათვის გამოვიყენოთ და თუკი რომელიმე პოლიტიკური ძალა ამას შეეცდება, მათ დავუპირისპირდებით," - განაცხადა კობა დავითაშვილმა.

მისი თქმით, რუსეთს არ უნდა გაუჩნდეს აზრი, რომ ასეთი ტიპის ზეწოლით საქართველოს გახლეჩას შეძლებს. "პოლიტიკური ძალების ერთიანობამ რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ მსგავსი ქმედებების განხორციელების სურვილი უნდა დაუკარგოს," - განაცხადა დავითაშვილმა.

ამასთან, ფრაქციის წევრები ხელისუფლებას მოუწოდებენ, შეწყდეს ყველანაირი საუბარი მაგისტრალური გაზსადენის "გაზპრომისათვის" მიყიდვის თაობაზე და ქვეყანამ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოაყალიბოს ენერგეტიკული სტრატეგია.

"საქართველოს ხელისუფლებამ აქტიურად უნდა იმუშაოს ბუნებრივი აირის ალტერნატიული წყაროების მოსაძიებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ანალოგიური პრობლემის წინაშე არაერთხელ დავდგებით," - განაცხადა ფრაქციის თავმჯდომარემ დავით ზურაბიშვილმა. ფრაქციის წევრებმა ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მოუწოდეს, მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს დსთ-დან გამოსვლის თაობაზე.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# სკანდალი ჭავჭავაძეების მამულის ირგვლივ

*"სილქროუდ ჯგუფის" შვილობილი კომპანია "ამბრელა კონსალტინგი", რომელსაც წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელობის სახლ-მუზეუმი იაჯრით უნდა გადაეცეს, სკანდალში ეხვევა.*



ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

"ამბრელა კოლსტანტინგის" წარმომადგენლობა, ახალი წლის შემდეგ, ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმის თანამშრომლებს უკვე ორჯერ შეხვდა. ინვესტორის ყველაზე ხმაურიანი ვიზიტი წინანდალში 20 იანვარს შედგა. "სილქროუდ ჯგუფის" შვილობილი კომპანია მუზეუმის თანამშრომლებს ხელშეკრულების გააფორმებას აიძულებს. როგორც მუზეუმის თანამშრომლები ამბობენ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი კომპანიის პირობებს არ დაემორჩილებიან, იარაღით ემუქრებიან.

**"კომპანიის ხელმძღვანელი ივა მარტიაშვილი და რამდენიმე წარმომადგენელი იყო ჩამოსული. გვეუბნებოდნენ, თუ ჩვენს ჭკუაზე არ გაივლით, ბეტეერით ნახევარ წინანდალს ავიღებთო. ჩვენს მიმართ აგრესიას ლევან პაპაშვილი, იგივე "კარო" გამოხატავდა. გვაიძულებდნენ, იმ შრომით ხელშეკრულებებზე მოგვეწერა ხელი, რომელიც სასამართლოში სარჩელს ავტომატურად შეაჩერებდა. თუმცა ჩვენს ეს არ გავიკეთებია,"** - ამბობს მუზეუმის ექსკურსიამძღოლი ნაირა მეგრელიშვილი.

**"საპრივატიზაციო ხელშეკრულებაში, მუზეუმი, როგორც ჩვეულებრივი ობიექტი, ისეა შეტანილი. ექსპონატებზე არაფერია მითითებული. გარდა ამისა, "ამბრელა კონსტანტინგის" ხელმძღვანელი ივა მარტიაშვილი ისეთ პირობებს აწესებს, რომ აქ ალბათ ჩიტსაც კი გაუჭირდება შემოფრენა,"** - ამბობს მუზეუმის თანამშრომელი ლეილა ზარნაძე.

"დემოკრატიული ფრონტის" რეგიონულმა წარმომადგენლობამ, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სპეციალური პრესკონფერენცია გამართა.

**"იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის წარმომადგენლობა თავისას გაიტანდა და შრომით ხელშეკრულებებზე თანამშრომლებს ხელს მოაწერინებდნენ, სარჩელი ბათილად ჩაითვლებოდა. არსებული კანონმდებლობის თანხმად კი, სანამ სასამართლო თავის საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებს, კომპაანის მხრიდან არანიარ პროცესებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. აქედან გამომდინარე, "სახალხო ფრონტი" რაიონის ხელმძღვანელობისგან მოვითხოვს, რომ დაიცვან მუზეუმის თანამშრომლების უფლებები,"** - აცხდებს კონსრევატიული პარტის წარმომადგენელი გია ხაზიური.

"ამბრელა კოლსტანტინგის" წარმომადგენლობა მუზეუმის თანამშრომლებთან ხელშეკრულების გაფრორმებას გუშინ აპირებდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც თანამშრომლების წინააღმდეგობს წააწყდნენ, წინანდალი მალევე დატოვეს.

მუზეუმის თანამშრომლები ამბობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კომპანია ასე განაგრძობს მათთან მუშაობას, ისინი პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავენ და შიმშილობას დაიწყებენ.

# ენერგოშეტევა საქართველოზე

პირველი გვერდიდან

იდუმალ ტერორისტთა უპრეცედენტო შეტევა საქართველოს ენერგოსისტემაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკისადმი გამოთქმულ მწვავე კრიტიკას და საქართველოს პარლამენტში რუსი სამშვიდობოების გაყვანის საკითხზე გაკეთებულ მწვავე განცხადებებს დაემთხვა.

აფეთქებები რუსეთ-საქართველოს შემაერთებელ ძირითად და სარეზერვო გაზსადენებზე (ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე), აგრეთვე, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზზე "კავკასიონი" (ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე) 22 იანვარს, დილით ადრე გაისმა. მომხდარ ინციდენტს რუსეთის მხარეც დივერსიად აღიარებს. რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის, ნიკოლაი შეპელის თქმით, აფეთქებები გაზსადენზე 700 და 800 გრ. ტროტილის ეკვივალენტურმა თვითნაკეთმა ასაფეთქებელმა მოწყობილობებმა გამოიწვია. რუსეთის პროკურატურამ საქმე "ქონების განზრახ დაზიანების" მუხლით აღძრა და ისიც განმარტა, რატომ არ აძლევს მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაციას. **"საბედნიეროდ, აფეთქებისას არავინ დაშავებულა. სერიოზული ზიანი არც გარემოს მიადგა,"** - აცხადებს შეპელი. თუმცა, რუსული სააგენტოების ცნობით, გამოძიება ძირითად ვერსიად "ექსტრემისტულ დაჯგუფებათა დივერსიულ საქმიანობას" განიხილავს.

**"ჩვენი ქვეყნის ენერგოსისტემაზე რუსეთის ფედერაციის მხრიდან ძალიან მძიმე საბოტაჟის აქტი განხორციელდა,"** - ასე შეაფასა გუშინ მომხდარი ფაქტი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. მისი თქმით, **"ეს ყველაფერი მას შემდეგ განხორციელდა, რაც საქართველო ბოლო თვეების განმავლობაში რუსეთიდან ზეწოლის მუდმივ მცდელობას განიცდის. ჩვენ რუსეთის ხელისუფლების პირებისაგან არაერთი მუქარა გვსმენია იმის შესახებ, რომ გაგვითიშავენ გაზს, შესაძლოა ელექტროგადამცემი ხაზი მწყობრიდან გამოვიდეს და ცივ ზამთარში გავიყინოთ."**

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი უჩვეულო სიცივის პერიოდში განხორციელდა.

სააკაშვილმა რუსეთს გაზზე ფასების მომატებაც გაუხსენა. **"რუსეთმა ყველანაირი საბაზრო ლოგიკის დარღვევით, გაზის ფასი გააორმაგა - ჩვენ არ დავიბენით და განვაცხადეთ, რომ მზად ვიყავით ამ თანხის გადასახდელად. გასული წლის განმავლობაში საუბარი გვქონდა არასტაბილურ, არასაიმედო და პოლიტიკურ რყევებზე დამოკიდებულ შანტაჟისტთან,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მან რუსეთს საქართველოსთვის გაზისა და ელექტროენერგიის მოწოდების უმოკლეს ვადებში აღდგენა და კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულება კატეგორიულად მოსთხოვა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი აფეთქება საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტია. **"რაც დღეს დილით საქართველო-რუსეთის საზღვარზე მოხდა, ეს არ არის ჩვეულებრივი ტერორისტული აქტი, ეს არის ორგანიზებული აქტი, მიმართული საქართველოს წინააღმდეგ,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

**"ეს არის უნიკალური შემთხვევა მსოფლიოს ისტორიაში, როცა ერთი ქვეყანა მეორე ქვეყნის წინააღმდეგ ფარულ დივერსიულ აქტებს ახორციელებს. გასული წელი იყო დივერსიული აქტების წელი. ყველა ამგვარი დანაშაული გახსნილია და ბრალდებულები დღეს სასჯელს იხდიან. იმედი მაქვს, რუსი კოლეგები უახლოეს ხანში დაადგენენ დივერსიულ აქტებში მონაწილე პირებს და მათ შესაბამისად დასჯიან. დივერსიის მომწყობთა მიზანი იყო საქართველოში დესტაბილიზაციის იმიტაციის შექმნა, რათა ყველამ იფიქროს, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ვერ შედგა,"** - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა.

რუსეთის საელჩომ საქართველოში მომხდარს გუშინ "უბედური შემთხვევის" კვალიფიკაცია მისცა. ხოლო "გაზპრომის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა სერგეი კუპრიანოვმა ქართულ მხარეს "მომხდარის პოლიტიზირებისაგან" თავის შეკავებისკენ მოუწოდა და "გაკვირვებაც" გამოთქვა "ზედმეტად ემოციური" შეფასებების გამო. მან აღნიშნა, რომ "გაზპრომი" ყველაფერს იღონებს საქართველოსა და სომხეთის მიმართულებით გაზის მიწოდების უმოკლეს ვადებში აღსადგენად.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ საღამოს გაავრცელა განცხადება, რომელშიც საკმაოდ მწვავე პასუხი გასცა საქართველოს ოფიციალური პირების გუშინდელ განცხადებებს. კერძოდ, საქართველოს ხელისუფლების რეაქციას ინციდენტზე მოსკოვმა **"ისტერიკა და ბაკქანალია"** უწოდა. **"საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების პრაქტიკულად ყველა წევრი ერთმანეთს ასწრებდა, ეს სიტუაცია ანტირუსული კამპანიის ახალი ტალღის ასაგორებლად გამოეყენებინა,"** - ნათქვამია განცხადებაში.

**"მოსკოვში უკვე მიჩვეულები არიან იმას, თუ როგორ იქცევა საქართველოს ხილისუფლება რუსეთთან ურთიერთობებში. შეიქმნა სხვის კმაყოფაზე ცხოვრების, თვალთმაქცობისა და აღვირახსნილობის გარკვეული ნაზავი, რასაც დაუსჯელობის შეგრძნებაც ემატება, დასავლეთში საკუთარი ანტირუსული ხაზის მფარველების გამოძებნის იმედით,"** - აღნიშნულია განცხადებაში.

რუსეთის საგარეო უწყება საქართველოს ხელისუფლებას "ნამუსზე აგდებს": **"ქვეყნისთვის ნორმალური ცხოვრების მოწყობაში საკუთარი უძლურების გასამართლებლად გარეშე მტრების ძიებას სიკეთე არასდროს მოუტანია", "ცინიზმი ამ კონკრეტულ სიტუაციაში, როდესაც რუსეთს საკუთარ ტერიტორიაზე ობიექტების აფეთქებას აბრალებენ, ქართველი მოღვაწეების სინდისზე იყოს".**

**"თუ თბილისში რუსეთთან ურთიერთობის საბოლოოდ გაფუჭება გადაწყვიტეს, ალბათ, ამგვარი პოლიტიკის ყველა შედეგიც გათვლილი აქვთ,"** - ფარულ მუქარას უთვლის მოსკოვი თბილისს.

თავის მხრივ, რუსი პოლიტოლოგი სტანისლავ ბელკოვსკი მიიჩნევს, რომ აფეთქება მაგისტრალურ გაზსადენზე მოწყობილია "მესამე ძალის" მიერ, რადგან "პუტინის რუსეთს" საქართველოსთან ურთიერთობის გაფუჭება ხელს არ აძლევს.

ექსპერტის აზრით, მომხდარი ასევე არანაირად არ შეესაბამება რუსეთის იდეას პოსტსაბჭოთა სივრცეში "ენერგოიმპერიის" შექმნის თაობაზე. რადგან ასეთი ფაქტები პუტინის ავტორიტეტს სერიოზულ დარტყმას აყენებს. რჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთს თავისი გაზსადენის დაცვა არ შეუძლია. ბელკოვსკის თქმით, ეს აფეთქება მოწყობილია იმათ მიერ, ვისაც სჭირდება, რომ, მაგალითად, იგივე საქართველომ ან სომხეთმა გაზის მოწოდების ალტერნატიული გზა ირანში ეძებოს.

პოლიტოლოგი აღნიშნავს, რომ ირანში ძალიან ბევრი ტერორისტი მზადდება, ისევე, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში. ბელკოვსკი დარწმუნებულია, რომ დღევანდელი დივერსიული აქტიც სწორედ ამ ტერორისტებმა მოაწყვეს, რათა ირანიდან შემოვიდეს უფრო ძვირადღირებული გაზი.

"ლიბერალური იმპერიის" კონცეფციისა და რუსეთის მიერ ენერგომატარებლების კონტროლის მეშვეობით პოლიტიკური მიზნების მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად რუსი ექსპერტები სხვა ქვეყნებში სტრატეგიული ენერგეტიკული აქტივების, განსაკუთრებით კი, გაზის ტრანსპორტირების სისტემების ხელში ჩაგდებას ასახელებენ. ამ მხრივ სერიოზული, თუმცა წარუმატებელი, ზეწოლა ამასწინათ უკრაინაზე განხორციელდა. "გაზპრომმა" უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები შუა აზიის ქვეყნების გაზის საბადოებისა და ინფრასტრუქტურის დასაპატრონებლად, და ცდილობს, ევრაზიის კონტინენტზე მონოპოლიური მდგომარეობა დაიკავოს.

გუშინდელი ინციდენტის ერთ-ერთ მიზეზად საქართველოს პრეზიდენტიც, სწორედ გაზის ინფრასტრუქტურის ხელში ჩაგდების მიზნით, რუსეთის ზეწოლას ასახელებდა.

**"რუსეთი ახორციელებდა მცდელობას - საქართველო იძულებული გაეხადა, მისთვის გაზის ტრანსპორტირების სისტემა გადაეცა,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. მისი თქმით, **"ამ ვანდალური აქტის განმხორციელებლებს ტყუილად ჰგონიათ, რომ შუა ზამთარში ენერგოსისტემის და გაზის გათიშვის გამო, საქართველო დაინგრევა და მუხლებზე დაჩოქილი მივა რუსეთთან". "ჩვენ მზად ვართ, ყველა საკითხი თანამშრომლობით, მეგობრობითა და პარტნიორობით გადავწყვიტოთ".**

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის რუსეთისათვის მიყიდვის თემამ საქართველოში აქამდე არაერთხელ გაიჟღერა. პრემიერ-მინისტრისა და სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის განცხადებებით, ეს სულაც არ არის გამორიცხული, და გადაწყვეტილება საქართველოს ინტერესების შესაბამისად უნდა იქნას მიღებული. თავის მხრივ, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ მეთ ბრაიზამ განაცხადა, რომ საქართველოს ამის გაკეთებას არ ურჩევს, რადგან ეს ნაბიჯი რუსეთზე საქართველოს ენერგეტიკულ დამოკიდებულებას გაზრდის.

საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" ლიდერმა დავით ზურაბიშვილმა გუშინ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, განსაზღვროს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების სტრატეგია. "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლები ხელისუფლებას მოუწოდებენ, შეწყდეს ყოველგვარი ფიქრი "გაზპრომისათვის" გაზსადენის მიყიდვასთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი განცხადებით, რუსეთს უფრო მეტი ეკონომიკური ბერკეტი ჩაუვარდება ხელში საქართველოზე ზეწოლის განსახორციელებლად.

**"ის ხალხი, ვინც ეს ჩაიდინა, გაწბილებულია. მათი იმედები არ გამართლდა,"** - განაცხადა გუშინ საღამოს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიხეილ სააკაშვილმა. მისი თქმით, მომხდარი ინციდენტი "ყველაზე უარესი რამ" იყო, რაც შეეძლო რუსეთს საქართველოს საზიანოდ გაეკეთებინა. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება ამას მოელოდა და ამ სცენარს მომზადებული შეხვდა.

## მოკლედ

### ნინო ბურჯანაძემ ყაზახეთს მედიატორის როლი შესთავაზა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ყაზახეთის მთავრობას, საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხში, რუსეთთან მედიატორის როლის შესრულებისაკენ მოუწოდა. აღნიშნული მოწოდებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ყაზახეთის პარლამენტის ზედა და ქვედა პალატების თავმჯდომარეებთან, პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრებისას გამოვიდა.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება მზად არის, აქტიურად დაუჭიროს მხარი ყაზახეთის ეუთოს მოქმედ თავმჯდომარე ქვეყნად არჩევას. "საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ეუთო-ში ყაზახეთის პოზიციების განმტკიცება, რადგან ეს გარკვეულ დადებით გავლენას მოახდენს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე. ყაზახეთი ღირსეული ლიდერია მთელს რეგიონში, რომელმაც ბოლო წლებში მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინა ეკონომიკაში," - აღნიშნა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მისაღებია საქართველოში მეტი ყაზახური ინვესტიციის განხორციელება, "რადგან ეს არის ქვეყანა, რომელიც არასოდეს გამოიყენებს ეკონომიკურ ურთიერთობებს პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტად. მიმაჩნია, რომ ყაზახეთი საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, სანდო და საიმედო პარტნიორია," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ყაზახური მხარის მიერ საქართველოში ინტენსიური საინვესტიციო პროექტების ამოქმედება იგეგმება. მათ შორის, ფოთში მარცვლეულის ტერმინალის შექმნა, ბორჯომში, ბაკურიანსა და აჭარის შავი ზღვისპირა ზოლში საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, თბილისში სასტუმროებისა და სხვა ბიზნეს-პროექტების ამოქმედება, ქართულ საბანკო სისტემაში ჩართვა. ყაზახეთი 2006 წლიდან აქტიურად ჩაერთვება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტში და იქნება გაზისა და ნავთობის ერთ-ერთი მსხვილი მომწოდებელი მილსადენისათვის.

პარლამენტის თავმჯდომარე გუშინ დაბრუნდა ასტანიდან, სადაც იგი ყაზახეთთან მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის წევრებთან მამუკა გაჩეჩილაძესთან, კახა ოქრიაშვილთან, გია ნაცვლიშვილთან და ლევან დუჩიძესთან ერთად იმყოფებოდა. **ინტერპრესნიუსი**

### გელა ბეჟუაშვილი გერმანიაში მიემგზავრება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი 23 იანვარს, ორდღიანი სამუშაო ვიზიტით, გერმანიაში მიემგზავრება. მინისტრი შეხვდება გერმანელ კოლეგა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს, ფედერალური კანცლერის მრჩეველს და კანცლერის სამსახურის, საგარეო ურთიერთობების, გლობალური საკითხებისა და საგარეო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს ქრისტოფ ჰოისგენს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების მინისტრს ჰაიდემარი ვიჩორეკ-ცოილის, ბუნდესტაგის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარეს რუპრეხტ პოლენცს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს კრისტიან შმიტს.

გელა ბეჟუაშვილი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირებისა და სამშვიდობო გეგმისადმი ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხარდაჭერის საკითხებზე გაამახვილებს ყურადღებას.

შეხვედრებზე მინისტრი განსაკუთრებულად აღნიშნავს, რომ ქართული მხარე დაინტერესებულია შერეულ საკონტროლო კომისიაში ევროკავშირის მონაწილეობით. გარდა ამისა, განიხილება საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციისა და ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო პროგრამის შესრულების, თავდაცვისა და ეკონომიკის სფეროებში თანამშრომლობის საკითხები.

გერმანია საქართველოსთვის მეორე უმსხვილესი დონორი ქვეყანაა აშშ-ს შემდეგ. დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, გერმანიის მთავრობის მიერ გაწეული დახმარება 350 მლნ ევროს აღწევს.

საგარეო საქმეთა მინისტრი სიტყვით გამოვა ფრიდრიხ ებერტის ფონდში. თავის მოხსენებაში იგი ისაუბრებს ევროპისა და სამხრეთ კავკასიის თანამშრომლობის, უსაფრთხოების, მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცების საკითხებზე და ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემებზე. **ინტერპრესნიუსი**

# "ფრინველის გრიპის შიშით ანკესზე არ წამოეგოთ"

## გვირჩევს დაავადებათა კონტროლის ცენტრი

*გასულ კვირას ქართულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართველმა ჰომეოპათებმა ფრინველის გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატი გამოიგონეს. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამ ინფორმაციას არასერიოზულად მიიჩნევენ, თუმცა მაინც შიშობენ, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი შეიძლება ანკესზე წამოეგოს.*

ნანა ქადაგიშვილი

ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრების დამამშვიდებელი განცხადებების მიუხედავად, რომ საქართველოს მოსახლეობას, ჯერჯერობით, უყოყმანოდ შეუძლია ქვეყანაში გასაყიდად (როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტირებული) გამოტანილი ქათმისა თუ კვერცხის მირთმევა, მოსახლეობაში პანიკა მაინც იგრძნობა. როგორც ადგილობრივი კომპანიები აცხადებენ, ქათმის პროდუქციის რეალიზაცია საგრძნობლად შემცირდა. სხვათა შორის, ქათმის პროდუქციის შეტანა პარლამენტისა და კანცელარიის სასადილოებშიც აიკრძალა. ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან მოსალოდნელ საფრთხეს ისიც ემატება, რომ სამი თვის შემდეგ ფრინველების გადაფრენას უნდა ველოდოთ. ასეთ ფონზე, პრესაში გავრცელებულმა ინფორმაციამ ქართველი ჰომეოპათების მიღწევების შესახებ შეიძლება, არცთუ ცოტა ადამიანი დააინტერესოს. როგორც ერთ-ერთ გაზეთში იყო აღნიშნული, ქართველმა ჰომეოპათებმა მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანას გაუსწრეს და ფრინველის გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატი პირველებმა დაამზადეს. პრეპარატი ორგვარია - ბავშვებისთვის და დიდებისთვის. იგი ეფექტური და უსაფრთხოა და მოსახლეობას მისი შეძენა უკვე შეუძლია.

როგორც დაავადებათა კონტროლის ცენტრში აცხადებენ, ინტელექტუალი მოქალაქე ასეთმა ცნობამ, წესით, ვერ უნდა მოატყუოს. **"მსოფლიოში, ჯერჯერობით, ფრინველის გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო არც ვაქცინა და არც სამკურნალო პრეპარატი არ გამოუგონიათ. დაავადების მკურნალობისას მხოლოდ ზოგადი ანტივირუსული პრეპარატებითა (ძირითადად, "ტამი-ფლუთი") და ვიტამინებით მდიდარი საკვებით შემოიფარგლებიან. ქართველი ჰომეოპათების "მიღწევების" შესახებ არაფერი გვსმენია, ოფიციალური სტრუქტურებისთვის არავის მიუმართავს. შესაბამისად, არავის შეუსწავლია, რა პრეპარატზეა საუბარი და რამდენად უსაფრთხოა ეს პრეპარატი. ასე რომ, მოქალაქეთა ინტელექტზეა დამოკიდებული, აღნიშნულ ინფორმაციას ენდობიან თუ არა. უნდა ვეცადოთ, შარლატანების ანკესზე არავინ წამოეგოს,"** - აცხადებს დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე შოთა ცანავა.

არასამთავრობო ორგანიზაციის "მოძრაობა ფარმაკოტერორიზმის წინააღმდეგ" მონაცემების მიხედვით კი, საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული სამკურნალო ფირმებისა თუ პრეპარატების რეკლამების მსხვერპლთა რიცხვი არცთუ მცირეა. ორგანიზაციის ხელმძღვანელს ქეთი ბარამიძეს სამკურნალო ფირმა "კონსულტანტის" მიერ დაზარალებული პაციენტის მაგალითი მოჰყავს. ბარამიძის ინფორმაციით, აღნიშნულ ფირმაში მომუშავე "ექიმმა, რომელიც ყველაფერს კურნავდა", ბორჯომში მცხოვრებ, ეპილეფსიით დაავადებულ 23 წლის ბიჭს მოუხსნა ყველა მედიკამენტი, რასაც მანამდე იღებდა და დაუნიშნა საკვები დანამატები: "ჟიზნეტონიკ," "გორმონიზატორ ზდაროვია", "ბიტ №1", "ბიტ №2", "ჟემჩუჟინა ზდაროვია". "კონსულტანტში" მკურნალობამ ის შედეგი გამოიღო, რომ ავადმყოფს კრუნჩხვები ძალზე გაუხშირდა.

დაავადებათა კონტროლის ცენტრი მოსახლეობას ურჩევს, ფრინველის გრიპის საწინააღმდეგო რაიმე პრეპარატის შეძენამდე, რჩევისთვის ჯანდაცვის უწყებებს მიმართოს.

# საგანგებო მდგომარეობა ენერგომომარაგებაში

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ კი, აზერბაიჯანი გაზს საქართველოს მიაწვდის. ამის შესახებ საქართველოში "გაზექსპორტის" წარმომადგენელმა დავით მორჩილაძემ სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

**"საქართველოს გაზმომარაგების წყარო უცვლელი რჩება. საქართველო რუსულ გაზს მიიღებს, თუმცა სხვა ტექნიკური წყაროს მეშვეობით - ეს საქართველო-აზერბაიჯანის მილსადენით მოხდება,"** - განაცხადა მორჩილაძემ. ამ უკანასკნელმა ვერ დააკონკრეტა, საქართველო ბუნებრივ აირს აზერბაიჯანისგან შეიძენს თუ რუსეთისგან. მისი განცხადებით, ასეთ იურიდიულ დეტალებზე ამ ეტაპზე მუშაობა არ მიმდინარეობს, მთავარია, საქართველომ ბუნებრივი აირი მიიღოს.

უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე "გაზპრომი" საქართველოს დღე-ღამეში 7 მილიონ კუბურ მეტრ გაზს აწვდიდა, თუმცა ამ შემთხვევაში საქართველო აზერბაიჯანიდან 4-5 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს.

მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი ავარიის შედეგების აღმოფხვრის მიზნით, საგანგებო რეჟიმზეა გადასული საქართველოს ეროვნული ბანკი.

გუშინ ბანკის ხელმძღვანელობამ სამსახურში ის თანამშრომლები გამოიძახა, რომლებიც საერთაშორისო ანგარიშსწორების ოპერაციებს ახორციელებენ, რათა საქართველოს მთავრობის მიერ აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირის მისაღებად აუცილებელი თანხის გადარიცხვა შეუფერხებლად განხორციელებულიყო.

კერძოდ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ ბუნებრივი აირის შესაძენად აზერბაიჯანში 3 მილიონი ლარი გადარიცხა.

როგორც საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაში განაცხადეს, აზერბაიჯანთან 2005 წელს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, აზერბაიჯანმა საქართველოს მინიმუმ 2 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი უნდა მიაწოდოს, თუმცა გაზის საერთაშორისო კორპორაციამ აზერბაიჯანთან მოთხოვნა 4 მილიონ კუბურ მეტრზე გააკეთა.

**"4 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი ენერგობლოკებისა და დედაქალაქის გაზმომარაგებისათვის საკმარისი იქნება,"** - აცხადებენ კორპორაციაში.

მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი ავარიის გამო, საგანგებო რეჟიმში მუშაობს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროც, რომელმაც რეგიონები გათბობის ალტერნატიული საშუალებებით უნდა უზრუნველყოს. იგეგმება ყაზბეგის რეგიონის საწვავით და შეშით მომარაგება.

როგორც სამინისტროში განაცხადეს, რეგიონებში ელექტროენერგიის დეფიციტის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვის სამინისტრო ენერგეტიკის სამინისტროსაგან ავტომატურ რეჟიმში მიიღებს და დახმარებასაც ადეკვატურად გაუწევს.

გუშინ დილით, გაზსადენების დაზიანებასთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთში სპეციალური შტაბი შეიქმნა, რომელსაც პრეზიდენტის რწმუნებული სამცხე-ჯავახეთში გოგა ხაჩიძე ხელმძღვანელობს.

შტაბმა რაიონები შეშით უმოკლეს ვადებში უნდა უზრუნველყოს.

გოგა ხაჩიძის განცხადებით, პირველ ეტაპზე განსაკუთრებულად მძიმე კლიმატურ პირობებში არსებული სტეფანწმინდის მოსახლეობა მომარაგდება.

შტაბი საგანგებო რეჟიმში მუშაობას მდგომარეობის გამოსწორებამდე გააგრძელებს.

ბუნებრივი აირის გათიშვამ ქუთაისის მოსახლეობა პანიკაში ჩააგდო. ბაზრებში შეშაზე მოთხოვნილება გაიზარდა და ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული გახდა, გასათბობად ელექტროენერგია გამოიყენოს. თუმცა, ქუთაისის ზოგიერთი უბანი ელექტროენერგიის საფასურის დავალიანების გამო გათიშულია. ქუთაისის მერიაში აცხადებენ, რომ სატყეო მეურნეობასთან შეთანხმებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით შეძენილი იქნება შეშა, რომელიც გასათბობად ქალაქის უმწეო ოჯახებსა და მარტოხელებს დაურიგდება.

შეგახსენებთ, რომ გაზსადენების აფეთქებამდე ერთი საათით ადრე აფეთქება მოხდა 500-კილოვოლტიან მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზ "კავკასიონზე", რის გამოც რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი შეწყდა. ავარიის გამო გაზმომარაგება შეუწყდა ენერგობლოკებს, რამაც ელექტროენერგეტიკულ სექტორში დეფიციტი წარმოშვა. თუმცა, როგორც დღის პირველ ნახევარში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა განაცხადა, მომხდარის მიუხედავად, ენერგეტიკაში შეზღუდვები არ არსებობდა. **"ამას შიდა რეზერვების ხარჯზე ვახერხებთ. მართალია, უკვე გამორთულია მე-3 და მე-9 ენერგობლოკები, მაგრამ ელექტროენერგიის იმპორტი რუსეთიდან 220-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზით "სალხინო" ხორციელდება,"** - განაცხადა ხეთაგურმა.

თბილისის სრული ელექტრომომარაგების მისაღწევად გუშინვე ენერგეტიკის სამინისტრომ თურქეთიდან 40 მეგავატი სიმძლავრის იმპორტი დაიწყო.

თუმცა, დღის მეორე ნახევარში თბილისის მარცხენა სანაპიროს, გაზმომარაგებასთან ერთად, დენის მიწოდებაც შეუწყდა. მთლიანობაში, ქალაქში 50-60 მეგავატიანი შეზღუდვა ამოქმედა.

აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირის იმპორტის პარალელურად, საღამოს, ცენტრალურმა სადისპეტჩერო აზერბაიჯანიდან ელექტროენერგიის მისაღებად მზადება დაიწყო. "თელასის" განცხადებით, თბილისში ელექტრომომარაგების შეზღუდვები აზერბაიჯანიდან იმპორტის დაწყებისთანავე მოიხსნება.

გუშინ სიცივის და შიმშილის საფრთხის წინაშე მდგარი თბილისის მოსახლეობა გამალებით მარაგდებოდა თხევადი გაზით. როგორც გაზსადენების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა დიმიტრი დუდუჩავამ განაცხადა, მოქალაქეებს თხევადი გაზის დეფიციტი მასზე მოთხოვნილების გაზრდის შემთხვევაშიც არ შეექმნებათ.

დაზიანებული მაგისტრალური გაზსადენის აღდგენას, სავარაუდოდ, 4 დღე დასჭირდება.

ამის შესახებ გუშინ ს/ს "კავკაზტრანსგაზის" გენერალურმა დირექტორმა ვასილ ზინოვიევმა განაცხადა. რაც შეეხება 700-მილიმეტრიან სარეზერვო მილსადენს, მისი მწყობრში ჩაყენება უახლოეს დღეებში ვერ მოხერხდება, რადგან მისი დაზიანების ხარისხსი გაცილებით დიდია.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ამჟამად ირანში იმყოფება, სადაც გაზის საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ირანული ალტერნატივა შედარებით გრძელვადიანი პერსპექტივაა და ამჟამინდელი ფორსმაჟორის აღმოსაფხვრელად არ გამოდგება. როგორც ექსპერტმა გაზის საკითხებში თემურ გოჩიტაშვილმა ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოს განუცხადა, ირანიდან ბუნებრივი აირის მიღებისთვის ინფრასტრუქტურა არ არსებობს. მისი თქმით, მართალია, აზერბაიჯანმა ირანთან დამაკავშირებელი გაზსადენი ნაწილობრივ აღადგინა, თუმცა **"ეს ტექნიკური პრობლემა რომ არ არსებობდეს, ირანიდან გაზს მაინც ვერ მივიღებდით, რადგან პრობლემები არსებობს თავად ირანში. ირანი ვერ ასრულებს თურქეთთან გაფორმებულ კონტრაქტს გაზის მიწოდების თაობაზე და რამდენიმე დღის წინ, თურქეთს გაზის მიწოდება 70-პროცენტით შეუზღუდა,"** - განაცხადა გოჩიტაშვილმა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთვის გაზის მიწოდების შეწყვეტის გამო ბუნებრივი აირის გარეშე დარჩა სომხეთიც. თავის მხრივ, სომხეთიდან შეწყდა ელექტროენერგიის იმპორტი, რადგან იქ ენერგობლოკები გაზზე მუშაობენ. სომხეთმა მალევე მოახერხა დეფიციტის აღმოფხვრა - მოსახლეობას ბუნებრივი აირი, ადრინდელი მოცულობით, აზოვიანის მიწისქვეშა გაზსაცავიდან მიეწოდება. თუმცა "არმოსგაზპრომმა" მოქალაქეებს ბუნებრივი აირის ეკონომიურად ხარჯვისკენ და ალტერნატიული წყაროების ამოქმედებისკენ მოუწოდა.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# იბრაჰიმ რუგოვა - ლიდერი სახელმწიფოს გარეშე

პირველი გვერდიდან

პოლიტიკური ლიდერის გარდაცვალებასთან ერთად გაურკვეველი ვადით გადაიდო დე ფაქტო სახელმწიფოს დე იურედ ცნობის პერსპექტივაც. გაერო-ს ინიციატივით მომავალ ოთხშაბათს ვენაში დაგეგმილი შეხვედრა გაუქმდა, სადაც მხარეებს კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის სტატუსის მინიჭების საკითხი უნდა განეხილათ.

1989 წლიდან, მას შემდეგ, რაც იუგოსლავიის იმდროინდელმა პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა პროვინციას ავტონომია გააუქმა, სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, განათლებით ლიტერატურის მცოდნე იბრაჰიმ რუგოვა პასიური წინააღმდეგობის მოძრაობაში აქტიურად ჩაერთო. თუმცა, კულტურიდან პოლიტიკის სფეროში გაცილებით ადრე გადაინაცვლა, როდესაც 1980 წელს იგი კოსოვოს მწერალთა ასოციაციის პრეზიდენტი გახდა. კოსოვოს მწერალთა ასოციაცია კი, თავის მხრივ, ტრადიციულად ითვლებოდა ეთნიკურ ალბანელთა ოპოზიციურ მოძრაობად. ერთი სიტყვით, რუგოვას "პოლიტიზირება" სამთავრობო სტრუქტურებში მილოშევიჩის აღზევების პარალელურად მოხდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ხორვატიისა და ბოსნიის ნამდვილი ეთნიკური ომი გაჩაღდა, "ბალკანელების განდად" წოდებულმა რუგოვამ თავი შეიკავა, კიდევ უფრო მეტად წაექეზებინა ხალხი, რომელიც მზად იყო, თავი გაეწირა კოსოვოს დამოუკიდებლობისათვის. ზემოხსენებული მეტსახელიც რუგოვას, სწორედ, იმის გამო დაერქვა, რომ იგი კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო ინიციატივით გამოვიდა. კოსოვოელი ალბანელები მხარს უჭერდნენ ბალკანეთის აპარტეიდსაც. იბრაჰიმ რუგოვა კი, წინააღმდეგობის მოძრაობაში აქტიური მონაწილეობის მიუხედავად, ყოველთვის რჩებოდა ზომიერ პოლიტიკოსად.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ აღმოჩნდება კოსოვოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პრეზიდენტის ღირსეული მემკვიდრე. დროებით კი პრეზიდენტის უფლებამოსილებას, ქვეყნის გარდამავალი კონსტიტუციის შესაბამისად, პარლამენტის სპიკერი ნეჯათ დაცი შეასრულებს. თუმცა, ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, კოსოვოში ადგილობრივ ალბანურ დაჯგუფებებს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლის გაჩაღებასაც. ეს კი არცთუ სახარბიელო მდგომარეობას შექმნის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საბოლოო სტატუსზე შეთანხმებას თითქმის აღარაფერი ელობება წინ. კოსოვოს მოსახლეობის 90 პროცენტი კი, სწორედ, ეთნიკური ალბანელია. სერბების უმრავლესობამ, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, პროვინცია ჯერ კიდევ 1990-იანი წლების ბოლოს დატოვა და ჯერ კიდევ ვერ ბედავენ სამშობლოში დაბრუნებას. რაც შეეხება იმ სერბებს, რომელთა რაოდენობაც დაახლოებით 5 000-ს შეადგენს და უარი განაცხადეს კოსოვოს დატოვებაზე, ნატო-ს სამხედრო პირთა მფარველობის ქვეშ, ფაქტობრივად, რეზერვაციაში ცხოვრობენ. მათ ამ ტერიტორიის დატოვების უფლება არ აქვთ სპეციალური მიმართვის გარეშე. ასეთ შემთხვევაშიც სერბები მხოლოდ მშვიდობისმყოფელების დაცვის ქვეშ თუ შეძლებენ გადაადგილებას.

ადრე იბრაჰიმ რუგოვას ძირითად პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ კოსოვოს გამათავისუფლებელი არმია მიიჩნეოდა. ეს არის შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც სერბეთის წინააღმდეგ 1990-იანი წლების დასაწყისიდან იბრძვის.

კოსოვოს კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს იმ პარტიის წარდგენით, რომელმაც უკანასკნელად ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ხმათა უმრავლესობა მოიპოვა.

# რუსეთის ეკონომიკური იმპერიალიზმი

პირველი გვერდიდან

სამხრეთ კავკასიაში აღნიშნული გეგმის სისრულეში მოსაყვანად რუსეთის მიერ განხორციელებული პირველი ნაბიჯი რეგიონში მისი სტრატეგიული მოკავშირის - სომხეთის მისამართით გადაიდგა, როცა პუტინის ადმინისტრაციამ რუსეთის მიმართ არსებული 93 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დავალიანების დაფარვა ნაღდი ფულით ან სომხეთის მრეწველობის ძირითადი დარგების საწარმოთა აქციებით მოითხოვა და უსახსროდ მყოფ სომხეთს არჩევანის შანსი არ დაუტოვა.

შედეგად, 2002 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია სახელწოდებით - "საკუთრება ვალის სანაცვლოდ", რუსეთმა სომხეთის საწარმოთა აქციები მიიღო. სხვათა შორის, პუტინის წინამორბედი პრეზიდენტის, ელცინის მმართველობის დროს ანალოგიური ღონისძიების, "ვალი აქციების სანაცვლოდ", ავტორიც ანატოლი ჩუბაისი გახლდათ - სწორედ მაშინ წარმოიშვნენ რუსი ოლიგარქები,.

კავკასიაში საკუთარი იმპერიის ბატონობის აღსადგენად რუსეთის მეორე ნაბიჯი რუსეთისა და სომხეთის ერთიან ეკონომიკურ ზონად გაერთიანებაში გამოიხატება და რადგან საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ამ მიზნის განხორციელებას უშლის ხელს, რუსეთს საქართველოს მიმართ გარკვეული ზომების გატარება უხდება.

1990-იან წლებისგან განსხვავებით, როცა რუსეთმა უხეშ პოლიტიკურ წნეხს მიმართა საქართველოდან თანხმობის მისაღებად, 2003 წელს კრემლი უკვე ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებაზე გადავიდა. როდესაც ამერიკულმა AES Silk Road-მა, ვერ შეძლო საქართველოს ენერგოსისტემის დარეგულირება, ჩუბაისის პა ვცჟ-მა AES-ის აქციები და სხვა აქტივები შეიძინა, რომლებიც საერთო ჯამში ქვეყნის ელექტროსისტემის 75 პროცენტს შეადგენდა.

შემდგომი მოვლენები ასე განვითარდა - საქართველოში მოხდა "ვარდების რევოლუცია". სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ბევრი ფირმის პრივატიზაცია ათჯერ მეტ თანხად განხორციელდა, ვიდრე შევარდნაძის ხელისუფლების დროს იქნა გადახდილი აქტივების გაყიდვისას, მაგრამ არასაკმარისმა გამჭვირვალობამ, რუსულ კომპანიებსა და ეგრეთ წოდებულ მესამე ქვეყნებში დარეგისტრირებულ მათ შვილობილ საწარმოებს ბევრი ახალი შესყიდვების განხორციელების შესაძლებლობა მისცა. ასეთი ტიპური კომპანია რუსეთის ჰოლდინგი "პრომინვესტორი" გახლდათ, რომელსაც ხელში ჩაუვარდა ოქროს მომპოვებელ-გადამამუშავებელი წარმოება.

საქართველოში რუსეთის პოლიტიკის მთავარი იარაღი სახელმწიფოს კონტროლირებადი მონოპოლია - "გაზპრომი" გახლავთ, რომლის მიზანიც არა მხოლოდ საქართველოს გაზის წარმოების, არამედ იმ ერთადერთი გაზსადენის კონტროლი გახლავთ, რომლითაც რუსული გაზი საქართველოსა და სომხეთს მიეწოდება. **2005 წელს აშშ-ს გაზსადენის აღსადგენად 49,5 მლნ აშშ დოლარი რომ არ გამოეყო, ახლა იგი "გაზპრომის" ხელში იქნებოდა.** თუმცა, ახლაც, რუსეთის მხრიდან სულ უფრო მზარდმა ზეწოლამ, გაზსადენის "გაზპრომის" მფლობელობაში გადასვლა თუ არა, შესაძლოა, ერთობლივი რუსულ-ქართული კონტროლი მაინც მოიტანოს. დასავლეთის მკაფიო მხარდაჭერის გარეშე საქართველოს ხელისუფლება შეიძლება დათანხმდეს ასეთ გარიგებას - სულ ახლახან სწორედ მსგავს გარიგებაზე წავიდა მოლდოვა, მას შემდეგ, რაც 1 იანვარს გაზი გაუთიშეს.

"გაზპრომი" ერთადერთი სახელმწიფო იურიდიული პირი არ არის, რომელიც სამხრეთ კავკასიაში რუსულ პოლიტიკას ატარებს. 2004 წელს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფმა რუსეთის "ვნეშტორგბანკმა" სომხური "არმენსბერბანკის" აქციათა საკონტროლო პაკეტი ჩაიგდო ხელში. მომდევნო წელს იგივე "ვნეშტორგბანკმა" სიდიდით მესამე ქართული კერძო ბანკის - "გაერთიანებული ქართული ბანკის" საკონტროლო პაკეტიც შეისყიდა. ფაქტობრივად, "ვნეშტორგბანკმა" ხელმეორედ მოახდინა "გქბ"-ს ნაციონალიზება, თუმცა, ამ შემთხვევაში ახალი მეპატრონე რუსეთის სახელმწიფოა.

ცოტა ხნის წინ ჩუბაისის "რაო ეიეს"-მა რუსეთის "ლიბერალურ იმპერიაში" საქართველოს ინტეგრაციის საქმეში წამყვანი როლი იკისრა. გაამჟღავნა თუ არა საქართველოს მთავრობამ თავისი გეგმები "ენგურჰესის" პრივატიზაციისა და დიდი ხნის წინ შეჩერებული "ხუდონჰესის" მშენებლობის განახლების შესახებ, "რაო ეიეს"-მა დაუყოვნებლივ გამოაცხადა თავისი პრეტენზიები ორივე პროექტში უმნიშვნელოვანესი როლის შესასრულებლად. ასე რომ, რუსეთის მხრიდან ასეთი ზეწოლის პირობებში და, მით უმეტეს, თუ დასავლეთიც თვალს დახუჭავს ამაზე - საქართველოს მთელი ენერგეტიკული სისტემა - გაზიც და ელექტროენერგეტიკაც - რუსეთის ხელში შეიძლება აღმოჩნდეს.

რუსეთის პროექტი, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზის აღდგენას გულისხმობს, ასევე ნათელი დადასტურებაა ეკონომიკის ნეოიმპერიალისტურ მისწრაფებებთან შერწყმისა. მართალია, ეს პროექტი მოიცავს ტერიტორიას, რომელსაც გაერო საქრთველოს ნაწილად თვლის, მისგან უმთავრეს მოგებას რუსეთი და სომხეთი მიიღებს.

თუ საერთაშორისო საზოგადოებრიობა ამ პროექტის განხორციელების ნებას დართავს, იგი მხარს დაუჭერს რუსეთის მისწრაფებებს, რომელიც აფხაზეთის საქართველოსგან ჩამოშორებისკენ არის მიმართული.

პარალელურად, რუსეთი და სომხეთი ირანთან დამაკავშირებელი რკინიგზის აშენებასაც გეგმავენ. იმის გარდა, რომ ეს პროექტი უდავოდ ფრიად მომგებიანია ირანის რეაქციული პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის ხელისუფლებისთვის, იგი ოსტატურად ასუსტებს სამხრეთ კავკასიის კავშირებს დასავლეთთან, რის გაძლიერებაზეც აშშ-მ და ევროპამ ათწლეულები დახარჯეს.

ამგვარად, რუსეთის მცდელობა, საქართველო და მისი მეზობლები ჩაითრიოს თავის ახალ "ლიბერალურ იმპერიაში", კარგად გათვლილი გეგმის ნაწილს წარმოადგენს, რომლის საბოლოო მიზანი სამხრეთ კავკასიის ანტიდასავლურად განწყობილ რუსულ-ირანულ კოალიციაში გაერთიანებაა. დასავლეთის ქვეყნებმა და, განსაკუთრებით, აშშ-მ გადამწყვეტი დახმარება და მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინონ სამხრეთ კავკასიას, რათა ხელი შეუშალონ რუსეთს აშკარად სახიფათო ნეოიმპერიული ოცნების ასრულებაში.

***ვლადიმერ პაპავა -***
*საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, ავტორი წიგნისა "ნეკროეკონომიკა", რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკური პრობლემების შესახებ გამოკვლევას წარმოადგენს.*

***ფრედერიკ სტარი -***
*ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის თავმჯდომარე, ვაშინგტონის ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მოწინავე საერთაშორისო კვლევების სკოლა.*

**პროექტი სინდიკატი, 2006**

## მოკლედ

### მოსკოვის პრეტენზიები უკრაინისთვის მისაღებია

უკრაინის მინისტრთა კაბინეტს განზრახული აქვს, "სერიოზული დასკვნები" გააკეთოს იმ სამსახურების მუშაობასთან დაკავშირებით, რომლებმაც მესამე ქვეყნებიდან უკრაინის ტერიტორიის გავლით რუსეთში ხორცის ტრანზიტი დაუშვეს.

ამის შესახებ უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იური ეხანუროვმა განაცხადა. პრემიერმა სამართლიანად მიიჩნია რუსეთში ტრანზიტული საქონლის ხორცის შეტანის თაობაზე მოსკოვის მიერ კიევისათვის წაყენებული პრეტენზიები. მისი თქმით, ხშირად, იმპორტირებული ხორცი რუსეთში უკრაინული დამღით შედიოდა.

ეხანუროვმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც 20 იანვარს რუსეთმა უკრაინიდან მეცხოველეობის ყველა სახეობის პროდუქციის შეტანა დროებით აკრძალა. ამავდროულად, უკრაინის პრემიერ-მინისტრმა გაკვირვება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ მოსკოვის სანქციები უკრაინულ რძის პროდუქციასაც შეეხო. ეხანუროვის თქმით, რძის ყველა პროდუქტი თერმულად მუშავდება და ხარისხის სტანდარტებს შეესაბამება. უკრაინის მთავრობის მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ ეს საკითხი 23 იანვარს, მოსკოვში დანიშნულ ორმხრივ მოლაპარაკებაზე მოგვარდება.

2005 წელს უკრაინამ 650 მილიონი დოლარის ღირებულების მარტო რძის პროდუქტების ექსპორტი განახორციელა. ამასთან რძის, ყველისა და ხაჭოს 60 პროცენტი რუსეთში შევიდა.

თუ რძის პროდუქტების ექსპორტი არ აღდგა, უკრაინის ყოველთვიური დანაკარგები 80 მილიონ დოლარს გადააჭარბებს.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

„საქართველოს ტელეკომმა" დაიწყო ახალი პროექტი

„ცხელი სადილი კათარზისის ხანდაზმულთათვის".

თუ თქვენ გჭირდებათ საზღვარგარეთ დარეკვა, დარეკეთ 8-10-ით (ტარიფი უცვლელია).

ამით თქვენ დაეხმარებით სათნოების სახლი „კათარზისის" უფასო სასადილოს. ყოველდღიურად, თქვენი შემწეობით, რამდენიმე ასეული მოხუცებული მიიღებს სრული რაციონის ცხელ სადილს.

ყოველი ახალი ზარი კიდევ ერთი ადამიანის დახმარების საწინდარია.

8-10

ერთად ვაკეთოთ კეთილი საქმე

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

## საპროტესტო აქცია



ინტერპრესნიუსი

საქართველოს პარლამენტისა და თბილისის საკრებულოს წევრების ინიციატივით, დედაქალაქში, ვაკე-საბურთალოს გზაზე, რუსეთის შეიარაღებული ძალების ამიერკავკასიის დაჯგუფების შტაბთან საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ ცენტრალურ გაზსადენზე მომხდარი აფეთქება რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული დივერსიაა. საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ბეგაშვილის თქმით, რუსეთი საქართველოს მოსახლეობის გაზისა და ელექტროენერგიის გარეშე დატოვებას ცდილობს და ამის მიზეზი პარლამენტის დადგენილებაა, რომლის მიხედვითაც, 15 თებერვლიდან შესაძლოა, რუსეთის სამშვიდობო ძალები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან გაყვანის რეჟიმში გადავიდნენ. "რუსეთი ცივილიზებულ ენაზე უნდა გვესაუბროს. საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომლის მოსახლეობასთან გაზისა და დენის გათიშვის ენაზე საუბარი შეიძლება," - განაცხადა ბეგაშვილმა.

*მედიანიუსი*

ეკა ქვესიტაძის სვეტი

## უგუნური პოლიტიკა და თანმიმდევრული ნაბიჯები

იასუკუნის მემორიალი ტოკიოში, სადაც სხვადასხვა ომში დაღუპული იაპონელი ჯარისკაცებია დაკრძალული, დიდი ხანია, პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზი გახდა იაპონიასა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის, რომლებიც გასულ საუკუნეში მისი იმპერიალიზმის სისასტიკის მსხვერპლნი გახდნენ. ამ მემორიალზე, ორ მილიონ-ნახევარ დაღუპულთან ერთად, ომის კრიმინალებიც არიან დაკრძალულნი. ამიტომ, ნებისმიერი იაპონელი მაღალჩინოსნის სტუმრობა მემორიალზე მეზობელ ქვეყნებში იმის მწვავე განცდას იწვევს, რომ იაპონია საკმარისად კრიტიკულად არ არის განწყობილი საკუთარი ისტორიის მიმართ და სწორად არ აფასებს წარსულს.

იაპონიის ახლანდელი, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პრემიერ-მინისტრის კოიძუნის სტუმრობამ იასუკუნის მემორიალზე ისევ გამოიწვია საპროტესტო აქციები ჩინეთში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის ოკუპაციის მსხვერპლი იყო. ეს იმ ფონზე, როცა ოფიციალური ტოკიო უამრავ რამეს აკეთებს იმისთვის, რომ თავისი ისტორიული დანაშაული გამოისყიდოს მეზობელი ერების მიმართ, რომელთაც მისმა იმპერიალისტურმა ამბიციებმა უზარმაზარი ტკივილი და მსხვერპლი მოუტანა.

რუსეთის ოფიციალური პირები თავისი წარსულის მიმართ არაკრიტიკულ დამოკიდებულებას მხოლოდ ოკუპანტი წითელი არმიის მემორიალზე ყვავილების მიტანაში რომ ამჟღავნებდნენ, მაშინ მისი მეზობლობა ნამდვილად ღვთის წყალობა იქნებოდა.

ქვეყანამ კი, რომელსაც შარშან მთელი მსოფლიო ურჩევდა, რომ რიბენტროპ-მოლოტოვის აქტის ბოროტება ეღიარებინა და საკუთარი წარსულის გამო ბოდიში მოეხადა, ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავი საბჭოთა სტილის მარაზმატული პომპეზურობით აღნიშნა. რუსეთი თავის თავს დღემდე ჯიუტად უწოდებს განმათავისუფლებელს და ოკუპანტობას სასტიკად უარყოფს, უცვლელია მისი პოლიტიკაც ყოფილი ოკუპირებული სახელმწიფოების მიმართ, მიუხედავად დროისა და პოლიტიკური სივრცის რადიკალური ცვლილებისა.

"რუსეთი არასანდო პარტნიორია" - ასეთი ტიპის შეფასებებს უკრაინასა და რუსეთს შორის მომხდარი ცნობილი "გაზის ომის" შემდეგ ყველა წამყვან დასავლურ გაზეთში წაიკითხავთ და ტელევიზიით მოისმენთ. ევროპამაც კი, რომლის რუსეთთან ურთიერთობებს პუტინ-შრიოდერისა და პუტინ-შირაკის "გამორჩეული მეგობრობის გამო" რომანტიული ელფერი დაჰკრავდა, ზამთრის ორი ცივი დღის შემდეგ შედარებით ფხიზელი თვალით შეხედა კრემლის პოლიტიკას, რომლის სტრატეგიულ იარაღს დღეს მსოფლიო გაზის ბაზარზე კვაზიმონოპოლისტობა და ამით შანტაჟი წარმოადგენს. ამ ურთიერთობების არარომანტიულ კალაპოტში ჩაყენებაში, ბუნებრივია, თავის როლს გერმანიის ახალი კანცლერის, აღმოსავლეთ გერმანიაში გაზრდილი მერკელის რეალობის ბევრად უფრო სწორი აღქმაც თამაშობს.

მაგრამ გარემოს ცვლილებებთან ერთად რუსეთის პოლიტიკა არ იცვლება და მას არაფრით არ შეიძლება უწოდო სხვა, თუ არა უგუნური პოლიტიკა. თუმცა, იმ ერსაც კი, რომლის ხალხური ზღაპრების მთავარი მოქმედი გმირი და ყველაზე ჭკვიანი პერსონაჟი ივანუშკა დურაჩოკია, უფრო გონივრული პოლიტიკა მოეთხოვება თავისი მეზობლების მიმართ, თუნდაც, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

გავლენის სფეროში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დაბრუნების სურვილი რუსეთში ძალზე დიდია. თუმცა პოლიტიკა, რომელიც მან მიზნის მისაღწევად აირჩია, იმდენად სულელურია, რომ ელემენტარულ კრიტიკასაც ვერ უძლებს. თუ რუსი მაღალჩინოსნები ფიქრობენ, რომ ანტიდასავლური და პრორუსული სენტენციების გასაღრმავებლად საქართველოში მხოლოდ ფაშისტური სულისკვეთების გაზეთებისა და საზოგადო მოღვაწეების ნიღბის ქვეშ ამოფარებული აგენტურული ქსელის დაფინანსებაა საკმარისი, ძალიან ცდებიან. დიდი ფიქრი არ სჭირდება იმას, რომ როდესაც ყინვაში ადამიანებს გაზსა და შუქს ურთავ, ისინი არასოდეს შეგიყვარებენ.

ხოლო თუ ეს ხელისუფლებაზე ზეწოლის იარაღია, ახლანდელი ხელისუფლება შევარდნაძისას არ ჰგავს, რომელიც კრემლში მუხლზე ჩოქვით ივლის მოწყალების სათხოვნელად. გუშინდელმა დღემ აჩვენა, რომ საქართველოს მთავრობა ისე მობილიზებული და ქმედითუნარიანია, როგორც არასდროს უახლოესი ისტორიის მანძილზე.

ამ ენერგეტიკული საბოტაჟის შემდეგ ბევრს გაუჩნდა აზრი, რომ საჭირო არ არის ისეთი მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა, როგორიც, მაგალითად, რუსი სამშვიდობოების გაყვანის ინიციატივაა, რადგან ეს რუსეთის საპასუხო რეაქციას გამოიწვევს და გამოიწვია კიდეც.

კონფლიქტურ ზონებში რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლება სხვა სამშვიდობო ძალებით სავსებით ლეგიტიმური მოთხოვნაა და საკითხის ამგვარი დაყენება საქართველოს ეროვნულ ინტერესებში შედის. მეორე საკითხია, არის თუ არა ხელისუფლება მზად შედეგებისთვის.

გუშინ მთავრობამ აჩვენა, რომ მოსკოვში სირბილს და პუტინისათვის პატიების თხოვნას არ აპირებს.

მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხელისუფლება არა მხოლოდ ასეთ კრიზისებში ამჟღავნებდეს სიმტკიცეს, არამედ სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროსაც. მაგალითად, როგორიც სტრატეგიული ობიექტების გასხვისებაა.

გუშინ პრეზიდენტმა აღიარა, რომ მაგისტრალური გაზსადენის რუსეთისათვის მიყიდვაზე მოლაპარაკებები შანტაჟის პირობებში მიმდინარეობდა. აქამდე მთავრობა ამტკიცებდა, რომ მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვაში ცუდი არაფერი იყო, ბენდუქიძე ამ აზრის განსამტკიცებლად ანეკდოტებსაც კი ჰყვებოდა. ასე რომ, რაც ხელისუფლებას პირველ რიგში მოთხოვება - ეს ყოველთვის თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმაა.

## მოკლედ

### პოლიციელ ქალთა ასოციაცია

გაერო-ს პოლიციამ საქართველოში პოლიციელ ქალთა ასოციაციის შექმნის ინიციატივა მოიწონა. საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლის, გრეტ სტრონსის თქმით, ახლად შექმნილი გაერთიანება საზოგადოების უფრო ფართო მასებს საშუალებას მისცემს, პატრულირების პროცესში ჩაერთონ. "ეს გრანდიოზული ნაბიჯია საქართველოსთვის და, შესაძლოა, მოდელი გახდეს სხვა ქვეყნებისთვისაც, განსაკუთრებით კი ამ რეგიონში",- განაცხადა სტორნსმა ნიუ-იურკში, გაეროს ახალი ამბების ცენტრში. მისი თქმით, გაეროს პოლიცია წევრ ქვეყნებთან მისიის კომპონენტში მეტი ქალი-პოლიციელის ჩართვის საკითხზე მუშაობდა. სტორნის განცხადებით, საქართველოში დაარსებულ ასოციაციასთან მსოფლიოს სხვა მსგავსი ორგანიზაციების თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად მამრობითი სქესით წარმოდგენილი ქართული პოლიციის დაბალანსების იდეა გაერო-ს მისიის უფროს მრჩეველს, პოლკოვნიკ ჯოზეფ ბოდას ეკუთვნის. 47 წევრისაგან შემდგარი პოლიციელ ქალთა ასოციაციის ინაუგურაცია კი გასული წლის ნოემბერში გაიმართა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებამ მუშაობა დაასრულა

ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებამ, რომელშიც 600-მდე დელეგატი მონაწილეობდა, მუშაობა დაასრულა. კრებამ ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, ეთიკისა და სარევიზიო კომისიები აირჩია და ასოციაციის წესდება დაამტკიცა. როგორც ასოციაციის თავმჯდომარე კახა ასლანიშვილი აცხადებს, დღეიდან მათი საქმიანობა ოფიციალური და კანონიერია. ასოციაცია მომავალში ადვოკატთა ლიცენზირებაზე, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებაზე და ადვოკატის პროფესიის განვითარებაზე იმუშავებს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ამჟამად 953 იურისტს აერთიანებს, მათგან 100-მდე ადვოკატი, დღეის მონაცემებით საჯარო სამსახურშია გადასული, რის გამოც მათ უფლებამოსილება შეუჩერდათ. კრებაზე ასოციაციის წევრებმა ადვოკატთა მოწმობებიც მიიღეს.

*ინტერპრესნიუსი*

### გამგებლის ხულიგანი მოადგილე

ხულიგნობასა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, სამართალდამცველებმა მცხეთის რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე დავით ტატიშვილი დააკავეს. დაკავების ოპერაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა განახორციელეს. ტატიშვილი წინასწარი დაკავების საკანშია გადაყვანილი. გამოძიების ინფორმაციით, დავით ტატიშვილმა თანამზრახველებთან ერთად, გასული წლის 10 დეკემბერს, მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის მკვიდრს, დავით ჩუგუაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. საქმეს მცხეთის რაიონული პროკურატურა იძიებს.

*ინტერპრესნიუს*

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ქუთაისში ნიკეას ქუჩაზე 26 წლის წყალტუბოელი შალვა ხინგალა დააკავეს. წინასწარი ინფორმაციით, ხინგალა თანამზრახველებთან ერთად ქუთაისში ერთ-ერთ ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმას გეგმავდა. შალვა ხინგალა სამართალდამცველებმა მაშინ აიყვანეს, როცა ის ავტოსადგურზე სპორტული ჩანთით იმყოფებოდა. ჩხრეკისას ჩანთაში მას ორი ცალი "აკს"-ის ავტომატი, 127 ვაზნა, ნიღბები, და ე.წ. "სკოჩები" აღმოაჩნდა. როგორც იმერეთის კრიმინალური პოლიციის უფროსი ზაზა გორგაძე აცხადებს, შალვა ხინგალა ადრეც არის ყაჩაღობისთვის ნასამართლევი. დაკავებული ქუთაისის წინასწარი დაკავების საკანშია გადაყვანილი. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა აფხაზეთიდან კონტრაბანდული გზით შემოტანილი რუსულ აქციზიანი 7000 კოლოფი სიგარეტი ამოიღეს. სამართალდამცველებმა სამტრედიელ ელგუჯა კალაძეს მაშინ მიუსწრეს, როცა იგი სიგარეტს ქუთაისში ე.წ. "კეჩის" ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე მალაზიებში სარეალიზაციოდ ტოვებდა. ადგილზე მას ხუთი ყუთი, ხოლო მოგვიანებით სამტრედიაში საკუთარი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 7 ყუთი სიგარეტი ამოუჩინეს. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, კალაძეს თავისუფლების 5 წლამდე აღკვეთა ემუქრება. **ინტერპრესნიუსი**

# ალი მეჰმედ აგჯა კვლავ დააპატიმრეს

*მეჰმედ ალი აგჯას დანაშაული პირველმა იოანე პავლე მეორემ აპატია. ადამიანი, რომელმაც რომში, წმინდა პეტრეს მოედანზე, რამდენჯერმე ესროლა და მძიმედაც დაჭრა, პაპმა ციხეში მოინახულა, გულითადად ესაუბრა და აპატია. ამ ჰუმანური "განაჩენის" შემდეგ რამდენიმე წელიწადში ალი აგჯა შეიწყალა იტალიის ხელისუფლებამაც.*



მეჰმედ ალი აგჯამ, რომელიც 24 წლის წინ თავს დაესხა რომის პაპს, ციხიდან გამოსვლა ვერ მოასწრო, რომ კვლავ დააპატიმრეს. თუ იტალიის ხელისუფლებამ მას რომის პაპზე თავდასხმა აპატია და შეიწყალა, თურქეთის ხელისუფლება აგჯას თურქეთში ჩადენილ დანაშაულებს ვერ პატიობს.

მეჰმედ ალი აგჯას გათავისუფლების დღესვე თურქეთის იუსტიციის მინისტრმა ჯემილ ჩიჩეკმა განაცხადა, რომ მან ბრძანება გასცა, ხელახლა გადაეხედათ აგჯას საქმისთვის. ამასთან, მან არ გამორიცხა, რომ აგჯას ხელახლა დააპატიმრებდნენ.

როგორც ცნობილია, მეჰმედ ალი აგჯა თურქეთში რომის პაპზე თავდასხმის კი არა, სულ სხვა დანაშაულებისთვის, კერძოდ, 1979 წელს ცნობილი თურქი ლიბერალი ჟურნალისტის აბდი იპეკჩის მკვლელობისა და 70-იან წლებში ორ ბანკზე თავდასხმისთვის იხდიდა 36-წლიან სასჯელს.

მაგრამ მას 2002 წელს გამოცხადებული ამნისტიაც შეეხო და - შარშან თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსში გატარებული რეფორმაც, რომლის თანახმადაც მსჯავრდებულებს საპატიმრო ვადები შეუმცირდათ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, თურქეთში ვერ დაასახელეს ვერც ერთი საკანონმდებლო აქტი, რომლის მიხედვითაც იქნა აგჯა ციხიდან გათავისუფლებული.

სწორედ იმის გამო, რომ აგჯას გათავისუფლებამ თურქეთში დიდი პოლემიკა გამოიწვია, მისი საქმე ხელახლა იქნა დაბრუნებული საკასაციო სასამართლოში.

სწორედ საკასაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მისი ციხეში დაბრუნების შესახებ. სასამართლოს თავმჯდომარის ნური ოკის გადაწყვეტილებით, აგჯა ციხეში 2014 წლამდე დარჩება. ოკის თქმით, აგჯამ სასჯელი უნდა მოიხადოს გაზეთ "მილიეთის" მთავარი რედაქტორის, აბდი იპეკჩის მკვლელობისთვის, რომელიც თურქმა ტერორისტმა 1979 წელს ჩაიდინა. აღნიშნული დანაშაულისთვის თურქეთის სასამართლომ 1979 წელს აგჯას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, თუმცა, მოგვიანებით, 1991 წელს უმაღლესი სასჯელი 10 წლით პატიმრობით შეუცვალა.

ამჟამად მეჰმედ ალი აგჯა სტამბულის ციხეში იმყოფება.

*24 საათი*

# რუსეთი საქართველოს საზღვარზე კონტროლს ამკაცრებს

რუსეთის უშიშროების სამსახურები, ტერორისტული აქტების თავიდან აცილების საბაბით, საქართველოსთან საზღვარზე კონტროლს ამკაცრებენ.

რუსეთის ძალოვანმა უწყებებმა ჩრდილოეთ კავკასიის ქვედანაყოფებში უსაფრთხოების ზომები მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაამკაცრეს, რომლის თანახმადაც, პანკისის ხეობაში მყოფმა საერთაშორისო ტერორისტებმა რუსეთის სამხრეთში ტერორისტული აქტების განხორციელება დაგეგმეს. რუსეთის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, რუსეთის უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობს ოპერაციულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პანკისის ხეობაში საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების, მათ შორის "ალ-ქაიდას" წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით გრძელდება ბოევიკთა მომზადება რუსეთის ზოგიერთ რეგიონში ტერაქტების მოსამზადებლად. მისივე მტკიცებით, პანკისში მყოფი ტერორისტები რუსეთის ტერიტორიაზე ტერაქტების განხორციელებას ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ნაწილში მყოფი ტერორისტების საშუალებით გეგმავენ. რუსეთის უშიშროების წარმომადგენლის განმარტებით, ოპერატიული მონაცემები პანკისის ხეობაში ტერორისტული აქტების მომზადების შესახებ, ცოტა ხნის წინ დაკავებული ბოევიკების ჩვენებებითაც დასტურდება.

რუსეთის სპეცსამსახურების ინფორმაციით, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთობლივი ოპერაციის შედეგად დაღესტანში საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის აქტივისტი, პანკისის ხეობაში მომზადებაგავლილი თურქეთის მოქალაქე ალი სოიტეკინ ოლუ დააკავა. რუსეთის უშიშროების სამსახურის მტკიცებით, ალი სოიტეკინ ოლუმ აღიარა, რომ 2001 და 2005 წლებში აქტიურად მონაწილეობდა "ალ-ქაიდას" ტერორისტულ საქმიანობაში.

ალი სოიტეკინ ოლუს ინფორმაციით, იგი ბაქოდან თბილისში ავტობუსით მოხვდა, შემდეგ პანკისის ხეობაში გადავიდა, სადაც იმხანად აბუ ჰავსი იმყოფებოდა.

*ინტერპრესნიუსი*

# ვატო ყიფიანის მეგობარი იზოლატორშია

შს სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის თანამშრომლებმა გუშინწინ იასე სარიშვილი, მეტსახელად "პატარა ხისთავა" დააკავეს. მისი დაკავება ჯერჯერობით მხოლოდ მაყუჩიანი იარაღის ტარებას უკავშირდება.

"პატარა ხისთავა" მე-7 საპყრობილეში მყოფი კრიმინალური ავტორიტეტის, ვატო ყიფიანის მეგობარია. ახალი კანონით კი კრიმინალურ სამყაროსთან კავშირი სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება.

სარიშვილი საცხოვრებელ სახლთან დააკავეს, როცა იგი საკუთარ ავტომანქანაში ჯდებოდა. პოლიციის თანამშრომლებმა დაკავებულს ჩხრეკისას ორი "მაკაროვის" სისტემის იარაღი აღმოუჩინეს.

დაკავებისას სარიშვილმა განაცხადა, რომ მაყუჩიანი უნომრო იარაღი მას საქმისთვის სჭირდებოდა.

იასე სარიშვილის დაკავების მიზეზად იარაღის უკანონო ტარებასთან ერთად, კრიმინალურ ავტორიტეტთან ვატო ყიფიანთან სიახლოვეც სახელდება.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, ძმებ სარიშვილებს ავტომანქანა "მერსედესი" ვატო ყიფიანმა აჩუქა. პოლიციის ინფორმაციითვე, დაკავებულის ძმა ნიკა სარიშვილი, მეტსახელად "დიდი ხისთავა" ექვსი თვის წინ თბილისში, ატენის ქუჩაზე საკუთარ ავტომანქანაში ჩაცხრილეს. ძმის სიკვდილის შემდეგ ვერცხლისფერ "მერსედესს" სწორედ იასე სარიშვილი მართავდა. ჩამორთმეული მანქანა შს სამინისტროს ეზოში დგას. მანქანის მონაცემები ინტერპოლს გადაეცა. ბალისტიკურ ექსპერტიზაზეა გადაცემული სარიშვილის კუთვნილი იარაღები.

დაკავებული შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება.

*ინტერპრესნიუსი*

# გორის ყოფილი მოსამართლე პროკურატურაში დაიბარეს

გორის რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ქართლოს სულაბერიძე შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში დაიბარეს. მიზეზი გორში მცხოვრები მამუკა ბალიაშვილის უკანონო პატიმრობაა. იგი სასჯელს, გორის საპატიმროში, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ერთი წელი იხდიდა. მის საქმეს გორში 6 თვის განმავლობაში იხილავდნენ.

მოსამართლე სულაბერიძე სამსახურიდან დიდი ხანია გათავისუფლებულია. საქმის განხილვა მას დასრულებული არ ჰქონდა. ბალიაშვილი კი გამოძიების დასრულებას საპატიმროში ელოდებოდა. ეს საქმე სასამართლოს დარაჯმა უკვე გათავისუფლებული მოსამართლის კაბინეტში შემთხვევით ნახა.

ქართლოს სულაბერიძე აცხადებს, რომ წარმოდგენა არა აქვს , მასალები მის კაბინეტში საიდან აღმოჩნდა. მას ეჭვი აქვს, რომ ბალიაშვილის საქმის მასალები მის ყოფილ კაბინეტში ვიღაცამ სპეციალურად შეაგდო. სულაბერიძეს ეჭვი სასამართლოს თავმჯდომარეზე აქვს. გამოძიება გრძელდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*







ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

**თქვენ ისევ სჭირდებით ქვეყანას**

"უმუშევართა გადამზადებისა და თვითდასაქმების პროგრამის" ფარგლებში ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" ატარებს პროფესიული გადამზადების უფასო კურსებს.

პროექტით გათვალისწინებულია სპეციალური სწავლების კურსები კერძო ბიზნესის წამოწყების, მისი წარმატებული განვითარებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებულ 28-დან 50 წლამდე ასაკის მოქალაქეებს.

კურსის დამთავრებისას ყველა მონაწილეს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი.
წარმატებულ კურსდამთავრებულს ფონდი ხელს შეუწყობს გრანტებისა და კრედიტების მოძიებაში.

სწავლების კურსებს ახორციელებენ ორგანიზაციები **CTC** (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი) და **ESM** თბილისი (მართვის ევროპული სკოლა).
სწავლების ხანგრძლივობაა 6 თვე.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ **CV** (ავტობიოგრაფია) და შრომის წიგნაკის ასლი შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, ყაზბეგის 34, ნაკვეთი III**
**საბუთები მიიღება 2006 წლის 5 თებერვლამდე.**
**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონით: 91 59 16.**
**ეწვიეთ ვებგვერდს: www.osgt.ge**

ESM ctc

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი...........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი...........................................

საკონტაქტო ტელეფონი...........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები, ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში შემდეგ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "სადგურის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ყაზბეგის 45 "სოფმშენის" შენობის ხელი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".



## მომავალ ორშაბათამდე!

ნოდარ ლადარია

**"საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა არანაირი არგუმენტი სახალხო დამცველ სოზარ სუბარზე არ ჭრის,"** — გვამცნობს 19 იანვრის "24 საათი". ამ შემთხვევაში ყველაზე საინტერესო სიტყვაა "არგუმენტი". რამდენიმე მათგანი გაზეთშივეა მოცემული, მაგრამ საინტერესო ისაა, რაც გაზეთში ვერ მოხვდა, სამაგიეროდ, მთელმა საქართველომ გაიგონა სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემებში. "არგუმენტი" ეკუთვნის უმრავლესობის დეპუტატს, **ტლაშაძეს**. აღარ მახსოვს, რა ჰქვია ამ ქალბატონს, არც იმაზე დავდებ თავს, რომ მისი გვარი სწორად გადმოვეცი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. შესაძლებელია უკვე განზოგადებული ცნება შემოვიღოთ — "ტლაშაძის არგუმენტი" — ან სულაც არგუმენტირების საზომი ერთეული დავაწესოთ: "ერთი ტლაში". ეს ერთეული, ელექტროტევადობის საზომის, **ფარადას** მსგავსად, ძალიან დიდი, თითქმის მიუღწეველი უნდა იყოს. დანარჩენი არგუმენტების ძლიერება კი პიკოტლაშებით (ერთი მეტრილიონედი), ნანოტლაშებით (ერთი მემილიარდედი) ან, უკიდურეს შემთხვევაში, მიკროტლაშებით (ერთი მემილიონედი) თუ გაიზომება.

ახლა კი უნდა დავასაბუთოთ, რომ არგუმენტაციის უსუსურობის ხსენებული ერთეული მართლაც ძალიან დიდია. მაშ ასე, ქ-ნმა ტლაშაძემ ბრძანა, რომ მომავალ წელს სახალხო დამცველს მოუწევს იმის ახსნა, თუ რატომ დადო პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** ფიცი სწორედ **დავით აღმაშენებლის** და არა ვიღაც... ნუ, რა ვიცი... მოკლედ, ვიღაც იმის საფლავზე. დიახ, სწორედ ასე თქვა. თუმცა ბრჭყალები არ გამომიყენებია, მაგრამ ეს წმინდა ფორმალობაა: უბრალოდ, საკუთარ მეხსიერებას ვეყრდნობი, რომელსაც ჯერ-ჯერობით არ ვუჩივი, და არა წერილობით წყაროს ან ელექტრონულ ჩანაწერს. განვიხილოთ დეპუტატის სიტყვები არგუმენტაციის უსუსურობის თვალსაზრისით და მივხვდებით, რატომაა ეს დონე ძნელად მისაღწევი ჩვეულებრივი ადამიანისთვის:

1. რატომ უნდა ახსნას სახალხო დამცველმა სად დადო ფიცი საქართველოს პრეზიდენტმა? ეს არც სახალხო დამცველის დანიშნულებაში შედის და არც არავის შემატებს რამეს. თანაც გაუგებარია, რატომ უნდა მოხდეს ეს მაინცდამაინც მომავალ წელს.

2. რა ფუნქციას ასრულებს ამ შემთხვევაში დავით აღმაშენებელი? რისი სიმბოლოა XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე მცხოვრები ეს პერსონაჟი, როცა საქმე ეხება კონკრეტულ საკანონმდებლო პრობლემას — საქართველოში რელიგიური ორგანიზაციებისათვის თანასწორი უფლებების მინიჭებას? ყოველ შემთხვევაში, მე მხოლოდ ერთ მომენტს ვიხსენებ: მეფეს სამი დღე დასჭირდა იმის მისახვედრად, რომ მუსლიმანთა შევიწროება კარგს არაფერს მოუტანდა სახელმწიფოს. უფრო მეტსაც ვიტყვი: სამი დღეც არ დასჭირვებია, თავიდანვე იცოდა — უბრალოდ, თბილისის ამღებ ლაშქარს ტრადიციისამებრ დაუტოვა საძარცვად ქალაქი, რის შემდეგ სახელმწიფო წესრიგის, ანუ უფლებათა აღდგენის პერიოდი დაიწყო. ასე რომ, დავით აღმაშენებლის მაგალითი სწორედ სოზარ სუბარის პოზიციას ამაგრებს.

3. ეს ფიცი მაინც რაღა დოზანაა. იქნებ მართლმადიდებლობის დამცველები ცოდვაში არ ჩამითვლიან, თუ სახარებას მოვიხმობ. მაცხოვარი ამბობს: "**ხოლო მე გეტყვი თქუენ: არა ფუცვად ყოვლადვე, ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისაი; ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კვარცხლბეკი არს ფერხთა მისთაი; ნუცა იერუსალემსა, რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისაი; ნუცა თავსა შენსა ჰფუცავ, რამეთუ არ ძალ-გიც ერთისა თმისა განსპეტაკებად გინა დაშავებად. არამედ იყავნ სიტყუაი თქუენი ჰეი ჰე და არაი არა; ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს**" (მათე, 5, 34-37). გასაგებია? ფიცი არ არის მაგიური ქმედება, ფიცი საერთოდ არაფერი არ არის — აი, ქრისტიანული მცნება და სარწმუნოება. მაგრამ პრეზიდენტი მართლაც ფიცს დებს, ასევე ფიცს დებენ მეომრები სამსახურში შესვლისას, მოწმეები სასამართლოში და ა. შ. რას ნიშნავს ეს? — მხოლოდ იმას, რომ მოცემული მომენტიდან სუბიექტზე ვრცელდება გარკვეული პასუხისმგებლობა.

სააკაშვილის ღონისძიება გელათის ტაძარში მართლაც უცნაური რამ იყო. ათას რამეს ნიშნავდა — შესაძლოა, საქართველოს რეგიონებისადმი რევერანსს, ან ტრადიციების ბუნდოვანი ცნების მიმართ გადახდილ ხარკს, ან საკუთარი ძალაუფლებით ტკბობას. ვინ იცის, კიდევ სად წაგვიყვანს ამაზე მსჯელობა. საქმე ისაა, რომ ეს მსჯელობა ვერასოდეს გამოვა სოციალური ანთროპოლოგიის ან სულაც ფსიქოლოგიის ფარგლებიდან და ვერასოდეს შეაღწევს იურიდიულ სფეროში. რატომ ღელავს ქ-ნი ტლაშაძე?

4. აი, ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტამდეც მივედით: ვისი საფლავი იგულისხმა ქ-ნმა ტლაშაძემ? ვიღაც იმისი... მაგრამ ძნელია თქმა, ძნელია, რადგან ერთხელ უკვე დაუსტვინეს **გოჩა ფიფიას**. არა, ვითარება არ გამოსწორებულა, მაგრამ მაინც რატომ უნდა დაგისტვინონ. იმ ნაგულისხმევი საფლავის პატრონები კი სწორედ უთქმელობამ თუ დეპუტატის ენაბრგვილობამ გაამრავლა: ვინ განისვენებს ამ ქართველი პარლამენტარის მიერ შეგინებულ უსახელო საფლავში, გაბრიელ სუნდუკიანი, ოვანეს თუმანიანი, ტიგრან პეტროსიანი, სერგო ფარაჯანოვი თუ სულაც საიათ-ნოვა? ან იქნებ "ურიის ჭონტოლი, ანდრე ჟიდი", ასე რომ იხსენიებდნენ საბჭოთა სუკის დაკვეთილ სტატიებში გამოჩენილი ქართველი მწერლები, რომელთა მემკვიდრენი დღეს სასამართლო დავით არიან გართულნი?

ოთხი პუნქტი, ოთხი სვეტი, რომელზეც საქართველოს პარლამენტისა და, კაცმა რომ თქვას, ჩვენი საზოგადოების კარგა მოზრდილი ნაწილის მენტალობაა დაფუძნებული — უფრო სწორად კი მენტალური ქაოსი, რომელიც დღეს სახალხო დამცველს უპირისპირდება. ეს გონებრივი ქაოსი ყველაზე ადეკვატურად ქ-ნი ტლაშაძის ტირადაში გამოიხატა, მაგრამ არც სხვებმა დააკლეს. ვნახოთ და გავზომოთ.

**ხათუნა გოგორიშვილი**, მაგალითად, სოზარ სუბარს ამგვარად საყვედურობს: "**ასე რატომ არ აღშფოთდი, როდესაც სამსარში უნივერსიტეტის სტუდენტები ჯოხით სცემეს, ან იმაზე რატომ არ აცხადებ პროტესტს, რომ მართლმადიდებლები კუმურდოში ფეხის შედგმასაც კი ვერ ბედავენ**". რას იზამ, ქ-ნო ხათუნა, მოსახლეობა პროვოკატორებს სცემს ხოლმე — ამას ალბათ პოლიციამ უნდა მიხედოს. ჩვენ კი უფრო ის გვაინტერესებს, სამსარის ინციდენტის დროს (რომელიც არ მოხდებოდა, რომ არა ქართველ სამღვდელო პირთა მოუფიქრებელი ინიციატივა), რა სატელეფონო საუბრები გქონდათ ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან? სამსარის ამბებზე უკვე წერდა "24 საათი" და მეც მომიხდა გამოხმაურება — უნცაური და უაზრო ჯვაროსნული ლაშქრობა იმათ წინააღმდეგ, ვისაც საპატრიარქოს პრესცენტრის წარმომადგენელი, **ზურაბ ცხოვრებაძე**, გაზეთის 19 იანვრის ფურცლებზე "სომეხ მონოფიზიტებს" უწოდებს. ცხოვრებაძე ცალკე შემთხვევაა, რაც შეეხება ქ-ნ გოგორიშვილის "არგუმენტს", აქ მეტად პრიმიტიული და, მე ვიტყოდი, წვრილმანი კრიმინალების საყვარელი ხერხია გამოყენებული: "რა გინდა, ბიძია? პატარებს ჩაგრავ?". პატარა და სუსტი კი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაა, რომლის შესახებ პროფესორი **ზურაბ კიკნაძე** გაზეთის ამავე ნომერში სრულიად სამართლიანად აღნიშნავს: "**კონკორდატი (ასე დავარქვათ ამ ხელშეკრულებას) არაფერს მატებს მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც საქართველოში "დე-ფაქტო" ისედაც განუზომლად უფრო ძლიერია, ვიდრე რომელიმე კონფესია**". საინტერესოა, როგორ ხდება, რომ განუზომლად ძლიერი კონფესია ასე "იჩაგრება"? როგორ ხდება, რომ ხან ბიზნესმენების დახმარება სჭირდება საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის გამოსასწორებლად, ხანაც ქურდებისა? მაგრამ გავიმეტოთ ქ-ნ გოგორიშვილისთვის რამდენიმე "მიკროტლაში" და სხვა "არგუმენტებსაც" მივხედოთ.

**რომან კუსიანი** რიტორიკული კითხვების ჟანრმა გაიტაცა: "**მართლმადიდებელი ეკლესია საკონსტიტუციო შეთანხმებით მონიჭებული უფლებების რეალიზებას რომ ვერ ახერხებს, ამაზე რატომ არაფერს წერთ თქვენს ანგარიშში? სხვადასხვა სექტები უკანონო მშენებლობას რომ ეწევიან და პროექტებს არც ერთ უწყებასთან არ ათანხმებენ, რატომ ამაზე არ იღებთ ხმას?**" — აქაც შეიძლება რამდენიმე პუნქტის გამოყოფა. ჯერ ერთი, რა კავშირი აქვს ამ ორ შეკითხვას ერთმანეთთან? ეკლესია თავისი უფლებების რეალიზებას ვერ ახერხებს, რაღაც იდუმალი "სექტები" კი უკანონო მშენებლობებს ეწევიან. რაო, საკონსტიტუციო ხელშეკრულებით მართლმადიდებელი ეკლესიისთვის "უკანონო მშენებლობის უფლებაა" განსაზღვრული? არ ვიცი, ვის გულისხმობს ბ-ნი კუსიანი "სექტებში", მაგრამ მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები გაცილებით უფრო ადრე ახდენდნენ იმას, რაც მხოლოდ ახლახან წამოიწყო საქართველოს სახელმწიფომ — კრიმინალთა უკანონო ქონების ექსპროპრიაციას. ეპისკოპოსი **გერასიმე** ამის ნათელი დადასტურებაა. ან იქნებ ის მოგვახსენოს ბ-ნმა კუსიანმა, რომელი "სექტა" შეძლებს ას მილიონ ამერიკულ დოლარად ღირებული "სამლოცველო სახლის" წამოჭიმვას მთელი თბილისის თავზე? არც კი ვიცი, მოუგო კუსიანმა გოგორიშვილს "მიკროტლაშებით" თუ არა — ალბათ მოუგო, რადგან გოგორიშვილის "არგუმენტი" ოდნავ ვერაგი მაინც იყო.

ყველაზე ნაკლები "მიკროტლაში", როგორც მოსალოდნელი იყო, **ლევან ბერძენიშვილს** ერგო. მაგრამ არა იმიტომ, რომ რაღაც განსაკუთრებული არგუმენტი იპოვა, — მას, უბრალოდ, გემოვნება ეყო, თავი აერიდებინა რელიგიური თემატიკისთვის. "24 საათის" შეკითხვაზე პასუხისას ამ თემას მან მხოლოდ რამდენიმე სიტყვა დაუთმო: "**მართლმადიდებლობაში პრობლემები შეიძლება არის, შეიძლება — არა. ვინაიდან საკითხზე ჯერ-ჯერობით ზეპირი ლაპარაკი მიმდინარეობს**". აჰა, ecce verbum! ან, თუ გნებავთ, ფრანგულად იყოს — c'est le mot! აი, სიტყვა! — ლაპარაკი მართლაც ზეპირია. მაგრამ რესპუბლიკელთა ინტონაციაში სულაც არ ჩანს, რომ ამ ლაპარაკის უფრო მაღალ დონეზე აყვანის სურვილს გრძნობდნენ. პირიქით, ცოტა ქვემოთ ლევან ბერძენიშვილი, რომელმაც მიიჩნია, რომ თავისი ინტელექტუალური რენომე საკმარისად გაამყარა, თვითონ უმატებს ზეპირი ლაპარაკის ტკაცუნა ბუხარში ორიოდე ხმელ ნაპობს: "**სუბარს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა არ აინტერესებს და უფლებების ყველაზე დიდ დამრღვევად საპატრიარქო გამოჰყავს. არადა ეს ასე არ არის**". ორი, როგორც თვითონ ბ-ნი ბერძენიშვილი ამბობს, "ზეპირი" განცხადება: სუბარს უფლებების დაცვა არ აინტერესებს... ო-ო! მეორე კი ერთობ ნუგბარი რამაა! ჯერ პირველს მივხედოთ: სუბარს უფლებების დაცვა არ აინტერესებს — განაჩენი გამოტანილია და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. თანაც დამამძიმებელი გარემოებაც სახეზეა: "**ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ სალარიძის ომბუდსმენობა სანატრელი იქნებოდა!**" — ამბობს ბ-ნი ბერძენიშვილი და აზრსაც არ უშვებს, რომ შეიძლება ვიკითხოთ: ვისთვისაა, ბატონო, სანატრელი? სოფისტიკაა, ჩემო ბატონო, ეს ყველაფერი. არა გჯერათ? აი, ახლა კი მეორე განცხადების დრო დადგა, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, მეტად ნუგბარი რამაა. ჩამოვაყალიბოთ ის, როგორც დებულებათა ლოგიკური ჯაჭვი: სუბარი ამტკიცებს, რომ **ადამიანის უფლებათა ყველაზე დიდი დამრღვევი საპატრიარქოა** (თქვა სუბარმა, რომ ყველაზე დიდია? არ ვიცით, მაგრამ ეს მტკიცება ჩვენს სინდისზე არაა); ამის შემდეგ ბერძენიშვილი ამბობს, რომ **ეს ასე არაა**. სახელდობრ რა არაა ასე? — თუ აზრთა დინებას ალმა მივყვებით, ბერძენიშვილი ამბობს შემდეგს: საპატრიარქო არაა ადამიანის უფლებათა **ყველაზე დიდი** დამრღვევი. ხომ გახსოვთ ანეგდოტი მფრინავი სპილოს შესახებ: "არა, არწივივით კი ვერ მოიქნევს ფრთებს, მაგრამ, რაც შეუძლია, დაფრინავს". შესანიშნავი ნაბიჯია: მაშინაც კი, როცა ამაზე ბევრს არ ფიქრობს, მაინც იტოვებს უკან დასახევ გზას — აი, ჭეშმარიტი სოფისტის მაღალი, ავტომატიზმამდე ასული ხელოვნება.

ბ-ნი ბერძენიშვილი მარტო არაა: ჩვენს პოლიტიკოსებს ამ ბოლო დროს ეტყობათ რაღაც ნარნარი ცეკვა საპატრიარქოს გარშემო. ხან **ივლიანე ხაინდრავა** ნათლისღების წყლით აპირებს ქურდების გამოსწორებას, ხან **გიგა ბოკერია** ცდილობს, ნამუსი მოსწმინდოს ეპისკოპოს გერასიმეს და მის საეჭვო "დელიშკებს" კრიმინალებთან. მაინც რა ხდება? რატომ მიიჩნევს ეს არცთუ უჭკუო ხალხი, რომ საქმე მათი პოლიტიკური აღმასვლის მნიშვნელოვან გარანტს ეხება? პასუხი მოულოდნელად მარტივია: საკმარისია გადავიკითხოთ რადიო "უცნობის" გადაცემის 16 იანვარს გამოქვეყნებული ანგარიში *ლაშა და კალენდარი*.

**ლაშა ბუღაძემ** ძველ და ახალ სტილზე სასაუბროდ ორი პატივცემული პიროვნება მოიწვია: კინორეჟისორი **რეზო ჩხეიძე** და მომღერალი **თამარ ჭოხონელიძე**. მეტად გონიერი არჩევანია. სწორედ რომ გაუმართლა ლაშა ბუღაძესაც და ჩვენც, თორემ, აბა, ასეთ სიბრძნეს სად მოვისმენდით: "**ვფიქრობ, ხალხი 1 იანვარსაც ზეიმობს და 14 იანვარსაც. ისე კი, მეცნიერებამ ახლა დაიწყო ამ კალენდართან და ორ განმასხვავებელ კვირასთან ბრძოლა და შესაძლებელია ეს თარიღები სულ მალე გამთლიანდეს და ერთმანეთს დაემთხვას**". ამას, ქ-ნი ჭოხონელიძე ამბობს. არ ვიცი, რას ნიშნავს თარიღების გამთლიანება, მაგრამ ერთი რამ კი მაფიქრებს: ასე თუ გაგრძელდა, ფემინისტური განწყობები კიდევ დიდხანს ვერ დაიმკვიდრებს საფუძველს ჩვენში. არც ბ-ნი ჩხეიძე ჩამორჩება: "**საზოგადოებას არ უნდა ეგონოს, რომ საეკლესიო ახალი წელი 14 იანვარია. ეს მხოლოდ ახალი კალენდრის მიხედვით. ძველი კალენდრის მიხედვით, რელიგიური ახალი წელი პირველ სექტემბერს დგება**". აბა, თავში ასეთი დომხალით რას გაარკვევ: ძველი კალენდრის მიხედვით კი არა, ბატონო, ძველი **ლიტურგიული წიგნები** იწყება პირველი სექტემბერით. ლიტურგიულ წელზეა საუბარი და არა კალენდარულ წელზე, ისევე როგორც შეიძლება ვილაპარაკოთ აკადემიურ, ფინანსურ და ა. შ. წელზე. ეს დეტალებია.

მთავარი კი ისაა, ბატონებო, რომ ჩვენი პოლიტიკოსების მისწრაფება მართლმადიდებლობისკენ, მათი ერთობ დელიკატური განწყობა საპატრიარქოს მიმართ მხოლოდ ერთი რამითაა განპირობებული: ქართველი საზოგადოების მასობრივი რელიგიური უმეცრებითა და უკულტურობით. სწორედ ამ უკულტურობის არეალში შედის ის ყბადაღებული 87 პროცენტი, რომელიც ნდობას უცხადებს მართლმადიდებელ ეკლესიას, თუმცა ამ წილის რაოდენობრივი დადგენის შესახებ არც ერთ ჩვენგანს არასოდეს მოუსმენია ერთი და დამაჯერებელი ვერსია. ეს არ გვადარდებს...

მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ! გავიხაროთ, მეგობრებო, — რაში გვჭირდება ამდენი თავის ტკივილი? აი, **მამუკა ხერხეულიძემ** 20 იანვარს ძალუმი მარჯვენა ჩაავლო **არსენა ოძელაშვილსა** და **კახა ბენდუქიძეს**. მართალია, ტექსტიდან ვერაფერი გავიგე, რადგან სულ მეშინოდა, ან ერთი არ დაახრჩოს, ან მეორე არ გააბრტყელოს-მეთქი. მაგრამ ხომ შეიძლება მომავალში რამდენიმე დამატებითი ტენდერი გამოცხადდეს, საგაზეთო ფართი დაკავებული აღმოჩნდეს და ჩვენც გადავრჩეთ ამ მღელვარებას.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



# სს ბანკ "რესპუბლიკის" ფინანსური ანგარიშგება 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

RC

## საბალანსო უწყისი

ლარებში

| N | აქტივები | ლარი | უც. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნაღდი ფული | 7,948,596 | 8,745,909 | 16,694,505 |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 27,328,285 | 805,008 | 28,133,293 |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 3,453,104 | 8,178,055 | 11,631,159 |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | 0 | 0 | 0 |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 1,762,798 | 0 | 1,762,798 |
| 6.1 | მთლიანი სესხები | 57,608,620 | 78,217,111 | 135,825,730 |
| 6.2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | (3,517,338) | (4,984,040) | (8,501,378) |
| 6 | წმინდა სესხები | 54,091,281 | 73,233,071 | 127,324,352 |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 472,338 | 1,733,965 | 2,206,303 |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | 0 | X | 0 |
| 9 | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 4,316,315 | 0 | 4,316,315 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 17,728,792 | X | 17,728,792 |
| 11 | სხვა აქტივები | 1,476,546 | 829,485 | 2,306,031 |
| 12 | **მთლიანი აქტივები** | 118,578,055 | 93,525,493 | 212,103,548 |
| | **ვალდებულებები** | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 6,160 | 8,559,392 | 8,565,552 |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 46,374,879 | 22,586,547 | 68,961,426 |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 14,531,416 | 11,085,961 | 25,617,377 |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | 14,882,240 | 44,514,340 | 59,396,580 |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | | | 0 |
| 18 | ნასესხები სახსრები | 1,500,000 | 8,066,250 | 9,566,250 |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 276,768 | 2,099,168 | 2,375,936 |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 2,518,506 | 2,060,579 | 4,579,085 |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | 0 | 0 | 0 |
| 22 | **მთლიანი ვალდებულებები** | 80,089,969 | 98,972,237 | 179,062,206 |
| | **სააქციო კაპიტალი** | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 7,000,000 | X | 7,000,000 |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | 0 | X | 0 |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | 0 | X | 0 |
| 26 | საემისიო კაპიტალი | 444,840 | X | 444,840 |
| 27 | საერთო რეზერვები | 2,753,070 | X | 2,753,070 |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | 21,292,514 | X | 21,292,514 |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 1,550,918 | X | 1,550,918 |
| 30 | **სულ სააქციო კაპიტალი** | 33,041,342 | X | 33,041,342 |
| 31 | **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | 113,131,311 | 98,972,237 | 212,103,548 |

RI

## მოგება - ზარალის უწყისი

ლარებში

| N | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|
| | **საპროცენტო შემოსავლები** | | | |
| 1 | საპროცენტო შემოსავალი ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით | 158,408 | 186,427 | 344,835 |
| 2 | საპროცენტო შემოსავალი სესხებიდან | 6,802,622 | 13,176,050 | 19,978,672 |
| 2.1 | ბანკთაშორისი სესხებიდან | 211,401 | 92,049 | 303,450 |
| 2.2 | ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან | 511,280 | 2,309,280 | 2,820,560 |
| 2.3 | ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,182,818 | 721,320 | 1,904,138 |
| 2.4 | სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 40 | 1,543 | 1,583 |
| 2.5 | მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 399,947 | 2,301,985 | 2,701,932 |
| 2.6 | სამთომომპოვებლო და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,089,172 | 1,141,441 | 2,230,614 |
| 2.7 | ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 0 | 290,420 | 290,420 |
| 2.8 | ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან | 343,579 | 3,294,308 | 3,637,887 |
| 2.9 | დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 3,064,386 | 3,023,704 | 6,088,090 |
| 3 | საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან | 648,670 | 0 | 648,670 |
| 4 | სხვა საპროცენტო შემოსავლები | 0 | 0 | 0 |
| 5 | **მთლიანი საპროცენტო შემოსავალი** | 7,609,700 | 13,362,477 | 20,972,177 |
| | **საპროცენტო ხარჯები** | | | |
| 6 | მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 286,366 | 300,170 | 586,536 |
| 7 | ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 426,987 | 3,660,781 | 4,087,769 |
| 8 | ბანკების დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 10,869 | 2,627 | 13,496 |
| 9 | საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები | 0 | 0 | 0 |
| 10 | ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები | 93,971 | 915,832 | 1,009,803 |
| 11 | სხვა საპროცენტო ხარჯები | 0 | 0 | 0 |
| 12 | **მთლიანი საპროცენტო ხარჯები** | 818,194 | 4,879,410 | 5,697,604 |
| 13 | **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 6,791,506 | 8,483,067 | 15,274,573 |
| | **არასაპროცენტო შემოსავლები** | | | |
| 14 | წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით | 3,232,837 | 1,235,558 | 4,468,395 |
| 14.1 | საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით | 3,430,264 | 1,752,292 | 5,182,556 |
| 14.2 | საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით | 197,427 | 516,734 | 714,161 |
| 15 | მიღებული დივიდენდები | 20,725 | 0 | 20,725 |
| 16 | მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან | 0 | 0 | 0 |
| 17 | მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | 84,123 | 0 | 84,123 |
| 18 | მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან | 3,142,067 | | 3,142,067 |
| 19 | მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | (154,315) | | (154,315) |
| 20 | მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან | (7,952) | | (7,952) |
| 21 | სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები | 1,255,283 | 1,385,432 | 2,640,715 |
| 22 | სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 76,850 | 146 | 76,996 |
| 23 | **მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები** | 7,649,618 | 2,621,136 | 10,270,754 |
| | **არასაპროცენტო ხარჯები** | | | |
| 24 | სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები | 9,058 | 314,070 | 323,128 |
| 25 | ბანკის გარეშეთა, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები | 1,081,729 | 127,969 | 1,209,698 |
| 26 | ბანკის პერსონალის ხარჯები | 5,049,559 | 0 | 5,049,559 |
| 27 | ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯები | 110,323 | 0 | 110,323 |
| 28 | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 1,067,640 | 0 | 1,067,640 |
| 29 | სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 3,680,897 | 104,433 | 3,785,330 |
| 30 | **მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები** | 10,999,206 | 546,472 | 11,545,678 |
| 31 | **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | (3,349,588) | 2,074,664 | (1,274,924) |
| 32 | **წმინდა მოგება დარეზერვებამდე** | 3,441,918 | 10,557,731 | 13,999,649 |
| 33 | ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 4,351,513 | X | 4,351,513 |
| 34 | ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 0 | X | 0 |
| 35 | ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 563,735 | X | 563,735 |
| 36 | **მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით** | 4,915,248 | 0 | 4,915,248 |
| 37 | **მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე** | (1,473,330) | 10,557,731 | 9,084,401 |
| 38 | მოგების გადასახადი | 1,901,465 | 0 | 1,901,465 |
| 39 | **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | (3,374,795) | 10,557,731 | 7,182,936 |
| 40 | გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები) | 0 | 0 | 0 |
| 41 | **წმინდა მოგება** | (3,374,795) | 10,557,731 | 7,182,936 |

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

# ქალაქ თბილისის მერიის აპარატი

**1.** ქალაქ თბილისის მერიის აპარატი აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს ქ. თბილისის მერიისათვის სატელევიზიო სარეკლამო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტია შემდეგი მომსახურება:**

**- 2006 წლის სარეკლამო სტრატეგიის და პროექტის მომზადება;**

**- სარეკლამო კლიპების სცენარების მომზადება;**

**- სარეკლამო კლიპების დამზადება (გადაღება);**

**- სარეკლამო კლიპების ტელეეთერში განთავსება.**

**2.** მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 13 თებერვლის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, ქ. თბილისის მერიის აპარატი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი)

ეროვნული ბანკი

ანგ. N 200122900

ბანკის კოდი: 220101107

სახაზინო კოდი: 300034040

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების მითითების გარეშე, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 14 თებერვლის 1000 სთ-დან 1700 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, ქ. თბილისის მერიის აპარატი.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ინფორმაცია ბოლო 5 წლის მანძილზე განხორციელებული ანალოგიური სარეკლამო მომსახურების შესახებ, რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი ნიმუშების (კლიპები, სცენარები, სარეკლამო სტრატეგიები, განთავსებული კლიპების მედიაგეგმები) წარმოდგენით.

**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

**7. ინსტუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პროექტის სახით 2006 წლის თბილისის მერიის სარეკლამო სატელევიზიო სტრატეგიის შესახებ, სატელევიზიო რგოლების სცენარებს და სატელევიზიო რგოლების განთავსების მედიაგეგმებს.

პირველადი სატენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება:

- სარეკლამო სატელევიზიო სტრატეგიის შესაბამისობა და ეფექტურობა;
- სატელევიზიო რგოლების სცენარების სტრატეგიული შესაბამისობა;
- სატელევიზიო რგოლების განთავსების მედიაგეგმების ეფექტურობა და ფასწარმოქმნის მიზანშეწონილობა.

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ეკა ბასილაშვილი და ნინო დოლიძე, ტელ: (995-32) 98-82-14, (995-32) 93-37-90, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ქ. თბილისის მერიის აპარატი, ოთახი N014.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

*1.* ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების (გლდანი და იაღლუჯა) და მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ჩოლოყაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე) სამშენებლო პოლიგონის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 3 პოზიციად (ლოტად):

**I.** იაღლუჯის ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლა-პატრონობა;

**II.** გლდანის ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლა-პატრონობა;

**III.** მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ჩოლოყაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე) სამშენებლო პოლიგონის მოვლა-პატრონობა.

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება: I და II პოზიციაზე - ნარჩენების გაუვნებლობა, დეზინფექცია, ზედაპირის დაწყლულება, მისასვლელი გზების მოშანდაკება და დასაცლელი პოლიგონის მოედნების მოწყობა. III პოზიციაზე - ზედაპირის მოსწორება-მოშანდაკება.

*2*. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით.

*3*. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილ იქნას 2006 წლის 13 თებერვლის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ. თბილისის მერისს კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4*. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

***იურიდიული პირისათვის:***

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგი ლობრივი ორგანოს მიერ;

***ფიზიკური პირისათვის:***

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

***როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:***

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალუ-ტექნიკური ბაზის შესახებ

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 13 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

*8.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი 99-66-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

*1.* ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისის ფონიჭალის ნაგავგადამტვირთი სადგურიდან იაღლუჯის ნაგავსაყრელ პოლიგონამდე რაიონებიდან შემოტანილი ნარჩენების ტრანსპორტირების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ფონიჭალის ნაგავგადამტვირთი სადგურის მოვლა-პატრონობა - სადეზინფექციო სამუშაოების პერიოდული ჩატარება, ფონიჭალის ნაგავგადამტვირთი სადგურიდან იაღლუჯის ნაგავსაყრელ პოლიგონამდე რაიონებიდან შემოტანილი ნარჩენების ტრანსპორტირება, ზიდვის მანძილი 48 კმ.

*2*. მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით.

*3*. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილ იქნას 2006 წლის 13 თებერვლის 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4*. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგი ლობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალუ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 13 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი 99-66-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ.N10, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სექტორის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ინტელექტუალური მომსახურების **- საქართველო-სომხეთის 330კვ (400 კვ გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის დაპროექტების** შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა. სატენდერო კომისიაში სატენდერო წინადადების წარმოდგენა ხდება დახურულ კონვერტში, რომელიც უნდა შეიცავდეს შესასრულებელი სამუშაოს ზოგად აღწერას ღირებულების მითითების გარეშე. ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა არ დაიშვება.

2. მომსახურების მიწოდების სასურველი ვადაა 2006 წლის 25 აპრილი, მიწოდების ადგილი - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.

- დაინტერესებულმა პირებმა პირველადი სატენდერო წინადადება საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 23 იანვრიდან 14 თებერვლის 17.00. სთ-მდე. ზემოხსენებულ მისამართზე, ენერგეტიკის სამინისტროს კანცელარიაში - მე-4 სართული, სატენდერო კომისიის აპარატში ქ-ნ ქ. მშვიდობაძესთან. შესყიდვებში მონაწილის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტაცია და ბეჭდვითი ლიტერატურა ასევე, შეიძლება იყოს უცხოურ ენაზე, ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე, ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს. საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა ევალებათ აგრეთვე სუბ-კონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

- სხვა ინფორმაციას, რის წარმოდგენასაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ამავე ვადებში წარმოდგენილი უნდა იქნას პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე დახურულ კონვერტში, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- შესასრულებელი სამუშაოს კალენდარულ გეგმა-გრაფიკს შესასრულებული სამუშაოს შესახებ სამინისტროს წინაშე შუალედური და საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის პირობების (ვადები და ა.შ.) მითითებით;
- საბაზო ინფორმაციის და მონაცემების წყაროებს, შესასრულებელი სამუშაოს მეთოდოლოგიას, მისი შერჩევის კრიტერიუმებს;
- სხვა ინფორმაციას, რის წარმოდგენასაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი.

4. შემსყიდველი ორგანიზაცია ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების დროს ჯერ განიხილავს წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს და პირველად სატენდერო წინადადებებს და განსაზღვრავს პრეტენდენტებს. პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი.

5. ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების ვადას სატენდერო კომისია განსაზღვრავს პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვის შემდეგ.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 იურიდიული პირისათვის:

ა) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას, რომ არ ხორციელდება კომპანიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) უფლებამოსილი დაწესებულებიდან ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

6.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისთვის:

ა) ტენდერში მონაწილის მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო-სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია.

ბ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;

6.4 უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ 6.1; 6.2 და 6.3 "ა" ქვეპუნქტებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაციის გაცემის უფლებამოსილების მქონე დაწესებულებიდან;

6.5 იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ საკვალიფიკაციო ვადის დასრულებამდე სათანადო საკვალიფიკაციო მონაცემის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტება შესაძლებელია ძირითადი სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მის მიერ წარმოდგენილი ძირითადი სატენდერო წინადადება არ შეფასდება, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

8. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარის წარმოდგენის შემდეგ 2006 წლის 23 იანვრიდან 14 თებერვლის 17 სთ.-მდე მისამართზე: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ.N10., სატენდერო კომისიის აპარატში ქეთი მშვიდობაძე.

9. ტენდერში ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების უზრუნველსაყოფად "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით და აგრეთვე სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ქ. მშვიდობაძე მისამართზე: ქ. თბილისი, ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ.N10., სატენდერო კომისიის აპარატი, მე-4 სართული, ტელ: 996098.

11. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადოს შემდეგ ანგარიშზე: **საქართველოს ეროვნული ბანკი: ბანკის კოდი 220101107 ა/ა 200122900** (ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის მოსაკრებელი).

*საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია*

რაგბი

# ერიდეთ "ცისფერ ხარებს"



რუსი "დათვები" "ბორჯღალოსნებთან" სათამაშოდ ემზადებიან.

4 თებერვალს თბილისში გაიმართება ერთა თასის წლევანდელი გათამაშების პირველი მატჩი რაგბიში. ქართველი "ბორჯღალოსნები" რუს "დათვებს" უმასპინძლებენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებმა გასული წლის გათამაშება პირველ ადგილზე დაასრულა და თუ წელსაც არ მოუკლებს ტემპს, მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლის რეალური შანსი ექნება.

მატჩისთვის სერიოზულად ემზადებიან რუსი "დათვებიც". ახლა ისინი სამხრეთ აფრიკაში არიან და იქაურ კლუბებთან ჭიდილში ცდილობენ სათამაშო კლასის ამაღლებას. რუსებმა პირველი ტესტ-მატჩი გამართეს და სასტიკად დამარცხდნენ - 64:7.

მათი მეტოქე სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი "ბლუ ბულზი" ანუ "ცისფერი ხარები" იყვნენ. "ლოფტუსის" სტადიონზე "ხარებმა" ქვა ქვაზე არ დატოვეს ჩვენი მეტოქისგან. სასტიკ შეჯახებებში დაიმტვრა რამდენიმე რუსი მორაგბე და ადვილი შესაძლებელია ქართველთა წინააღმდეგ ვერც ითამაშონ.

რუსეთის ნაკრების ახლად დანიშნულმა სამხრეთაფრიკელმა მწვრთნელმა იოჰანეს გრიუნევალდმა კი განაცხადა, რომ კმაყოფილია თავისი მორაგბეების გარჯით. მატჩის პირველ ტაიმში ტრავმა მიიღო ვლადიმირ ოსტროუშკომ. შეჯახებისას მას მხარი ამოუვარდა და ზუსტი დიაგნოზის დასასმელად სტადიონიდან უახლოეს ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

"სამხრეთ აფრიკაში ყოფნისას, მთელი კვირის განმავლობაში ინტენსიურად ვვარჯიშობდით, - განაცხადა რუსთა აფრიკელმა დამრიგებელმა, - აკლიმატიზაციის პერიოდი თითქმის გავიარეთ, მაგრამ დღის ვარჯიშების გადადება მაინც მოგვიხდა. ბიჭები ხომ რუსული ყინვიდან ჩამოვიდნენ. აქ კი დიდი სიცხე დაგვხვდა. ტრავმა მიიღეს ანდრეი ხვოროსტიანოვმა (ვარაუდობენ, რომ მას მუხლის მყესები გაუწყდა), პაველ ნოვიკოვმა (მასზე კი ამბობენ, რომ ბარძაყის მყესები აქვს გაწყვეტილი) და ანდრეი იგრიცოვმა. თუმცა ზუსტი დიაგნოზები ჯერ არ დასმულა. ამიტომ ჯერ ვერ ვამბობთ, ითამაშებენ თუ არა ეს მორაგბეები საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ. მოხარული ვარ, რომ კისრის მალების განკურნების შემდეგ თითქმის მწყობრში ჩადგა ალექსეი პანასენკო".

"ცისფერ ხარებთან" შესახვედრად რუსები სერიოზულად ემზადებოდნენ. 19 იანვარს გაიმართა ვარჯიში, რომლის დროსაც თავდასხმის ხაზში რუსებს ეხმარებოდა 2005 წლის სამხრეთ აფრიკის საუკეთესო მორაგბე ბრაიან გაბანა. აგრეთვე "დათვების" განკარგულებაში იყო კლუბ "სპრინბოქსის" ხუთი წარმომადგენელი.

"ერთი კვირის შემდეგ კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი გვექნება კლუბ "ფალკონსთან", - განაცხადა იოჰანეს გრიუნევალდმა, - სამხრეთ აფრიკაში იანვრის ბოლომდე დავრჩებით. 4 თებერვალს კი ერთა თასის გათამაშების ფარგლებში თბილისში ვესტუმრებით საქართველოს ნაკრებს".

ჩოგბურთი

# როდიკსაც შესწვდნენ

ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე მეორე ნომრად განთესილი ამერიკელი ენდი როდიკი დაემშვიდობა ასპარეზობას. მრისხანე ამერიკელი 20 წლის კვიპროსელმა მარკოს ბაგდატისმა გამოთიშა ტურნირიდან და ეს საკმაოდ იოლად მოახერხა - 6:4, 1:6, 6:3, 6:4. ბაგდატისმა ამ შეხვედრაში ძალიან მობილიზებულად წარმოაჩინა თავი. მან მხოლოდ 26 უნებლიე შეცდომა დაუშვა. ამასთან, ერთი ორმაგი შეცდომა მიითვალა და 16 ეისი მიართვა მეტოქეს. ამის საწინააღმდეგოდ როდიკმა 15 ეისი მიითვალა, ოთხი ორმაგი შეცდომა დაუშვა და 31 უნებლიე შეცდომით დაასრულა მატჩი.

პირველ სეტში უაღრესად თანაბარი ბრძოლა გაიმართა. მეტოქეები საკუთარ მოწოდებებს იღებდნენ, მაგრამ როდიკმა დაუდევრობით ერთი მოწოდება მეტოქეს დაუთმო და დამარცხდა - 4:6. სამაგიეროდ მეორე სეტი მთლიანად ამერიკელის კარნახით წარიმართა. ბაგდატისი თითქოს გამოცვალესო, ვერც მოწოდებებს ასრულებდა, ვერც ზუსტ დარტყმებს და ტემპშიც ჩამორჩა მეტოქეს. ამიტომ მოხდა, რომ როდიკმა პირწმინდად აჯობა ბაგდატისს - 6:1.

თუმცა ბაგდატისმა მესამე სეტი აბსოლუტურად სხვაგვარად წარმართა. მან ტაქტიკური მანევრით გადამწყვეტი სეტებისთვის ძალები შეინარჩუნა და როდიკს არც მესამე და არც მეოთხე სეტში შანსი არ დაუტოვა. საბოლოოდ ბაგდატისი მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მე-7 ნომრად განთესილ ხორვატ ივან ლიუბიჩიჩს შეხვდება, რომელმაც ასპარეზობას შვედი ტომას იოჰანსონი გამოთიშა. ნალბანდიანმა ოთხ სეტში მოუთავა საქმე ესპანელ ტომი რობრედოს - 6:3, 6:0, 2:6, 6:2, ხოლო ფრანგმა ფაბრის სანტორომ კიდევ ერთი ესპანელი დავიდ ფერერი გამოთიშა ასპარეზობიდან - 6:4, 7:5, 7:5.

ქალთა ნაწილში სენსაცია არ მომხდარა. ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი მეოთხედფინალში გავიდა. 35-გრადუსიანი სიცხის გამო ტურნირის ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ თამაშები საღამოსთვის გადაეტანათ. ორ ცენტრალურ არენაზე კი ჩოგბურთელებმა გადახურულში ითამაშეს.



ენდი როდიკი ასპარეზობას გამოეთიშა.

დღის პროგრამა ორი რუსი ჩოგბურთელის დაპირისპირებამ გახსნა. ტურნირის მეექვსე ნომერი ნადეჟდა პეტროვა 19 წლის თანამემამულე ელენა ვესნინას დაუპირისპირდა. ვესნინა პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგში მე-100 ადგილზეა, ამიტომ კლასში განსხვავება მყისვე თვალსაჩინო გახდა. ვესნინამ ორ სეტში დათმო მატჩი - 3:6, 1:6.

რაც შეეხება პეტროვას, ის კმაყოფილი უნდა იყოს თავისი თამაშით, რადგან ძალების დაზოგვა მოახერხა. მას მეოთხედფინალში მარია შარაპოვასთან მოუწევს ბრძოლის გადატანა. შარაპოვამ ტურნირს სლოვაკი ლამაზმანი დანიელა ჰანტუჩოვა გამოთიშა.

შარაპოვას მძიმე ბრძოლა გადახდა. პირველ სეტში ის 0:2 აგებდა, მეორეში კი - 0:3. თუმცა რუსმა ჩოგბურთელმა მეტოქეს უპირატესობის განმტკიცების საშუალება არ მისცა და ორივე სეტი - 6:4 მოიგო. მატჩის შემდეგ შარაპოვამ აღნიშნა, რომ ის კმაყოფილია შედეგით და იმ ატმოსფეროთი, რომელიც მელბურნშია შექმნილი. რაც შეეხება პეტროვასთან მომდევნო მატჩს, შარაპოვას თქმით, ის ძალიან დაძაბული იქნება.

თავისი მატჩი მოიგო ტურნირის პირველმა ჩოგანმა ლინდსი დევენპორტმა. მან კიდევ ერთი რუსი ჩოგბურთელი სვეტლანა კუზნეცოვა ორ სეტში დაამარცხა - 6:2, 6:4. თამაშის შემდეგ კუზნეცოვამ დაიწუწუნა, გადახურულში თამაში დევენპორტს უფრო აძლევდა ხელს, ვიდრე მე, რადგან მე ღია ცის ქვეშ მირჩევნია, თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ. ასეა თუ ისე, დევენპორტი მეოთხედფინალში გავიდა, ისევე როგორც ტურნირის მერვე ნომერი ბელგიელი ჟიუსტინ ენინ-არდენი, რომელმაც ორ სეტში დაამარცხა ესპანელი ვირხინია რუანო-პასკუალი - 6:0, 6:3.

| | |
|---|---|
| **ვაჟები:** | |
| მარკოს ბაგდატისი (კვიპროსი) - ენდი როდიკი (აშშ, 2) | 6:4, 1:6, 6:3, 6:4 |
| ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) - დავიდ ფერერი (ესპანეთი, 11) | 6:4, 7:5, 7:5 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 4) - ტომი რობრედო (ესპანეთი, 16) | 6:3, 6:0, 2:6, 6:2 |
| ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია, 7) - ტომას იოჰანსონი (შვედეთი, 10) | 6:2, 6:4, 6:4 |
| **ქალები:** | |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) - სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 14) | 6:2, 6:4 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი, 4) - დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი, 17) | 6:4, 6:4 |
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 8) - ვირხინია რუანო-პასკუალი (ესპანეთი) | 6:0, 6:3 |
| ნადია პეტროვა (რუსეთი, 6) - ელენა ვესნინა (რუსეთი) | 6:3, 6:1 |


# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

# სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**I ობიექტი - თეთრიწყაროს რაიონში, სოფ. ქოსალარიდან აღმოსავლეთით 1,5 კმ-ის მოშორებით მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე ბაზალტის ქვის მოპოვება**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ქვის ჯამური მოცულობა | 20 000 მ³ |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 382 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 876 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**II ობიექტი - დუშეთის რაიონში, სოფ. ციხისძირის მიმდებარედ, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 600 000 მ³ |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 37 556 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 7 511 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**III ობიექტი - ოზურგეთის რაიონში, სოფ. მერიას ტერიტორიაზე, მდ. ნატანების ჭალის ტერასაზე ნატანების (ჩალიანის) ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 50 000 მ³ |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5 019 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 004 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**IV ობიექტი - კირქვის მოპოვება ხობის რაიონში, სოფ. ბულიცკუს შემოგარენში, მდ. მუნჩიას მარცხენა ნაპირზე**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კირქვის ჯამური მოცულობა | 9 250 მ³ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5 630 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 126 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |

**V ობიექტი - გარდაბნის რაიონში, მდინარეების ლოჭინის და საცხენის-წყლის შეერთების სეგმენტში, მდ. ლოჭინის მარჯვენა ჭალის ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 100 000 მ³ |
| Aაუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 10 038 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 2008 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**VI ობიექტი - კასპის რაიონში, სოფ. მეტეხთან დამაკავშირებელი ხიდიდან დასავლეთით 1.2კმ მანძილზე, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 30 000 მ³ |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 023ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 805 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.N6 ტელ. 275760 აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 23 იანვრიდან 6 თებერვლის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 22 თებერვალს 11 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს 900 ლარს, ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს "ბე"-ს შემოტანის ქვითარი | "ბე"-ს გადახდის ანგარიში: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე. ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი; ბ)ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები. დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ე) "ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. ვ) საწარმოს ფინანსური შესაძლებლობანი. ზ)საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობანი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ" და "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |



**საერთაშორისო განათლების ცენტრი**
**CENTER FOR INTERNATIONAL EDUCATION**

**ფონდი "საერთაშორისო განათლების ცენტრი" და ღია საზოგადოების ინსტიტუტი (ნიუ იორკი) აცხადებენ**

უნივერსიტეტის მასწავლებელთა კონკურსს

http://www.soros.org/initiatives/scholarship/focus-areas/facult-scholarships/guidelines

ამ კონკურსში გამარჯვებულები გაატარებენ სამი წლის განმავლობაში ერთ სემესტრს ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში და ერთ სემესტრს საკუთარ ქვეყანაში (ყოველწლიურად). ამ პერიოდის განმავლობაში საშუალება მიეცემათ გაეცნონ თანამედროვე მიდგომებს შესაბამის სპეციალობებში და განავითარონ რეგიონალური და საერთაშორისო ინსტიტუციონალური პარტნიორობა

განმცხადებლები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

1. ამჟამად უნდა ასწავლიდნენ შემდეგ საგნებს საქართველოს რომელიმე რეგისტრირებულ უნივერსიტეტში:
- ხელოვნების ისტორია, კულტურული ანთროპოლოგია, ისტორია, სამართალი, ფილოსოფია, პოლიტიკური მეცნიერებები, რელიგია, სოციოლოგია, ამერიკანისტიკა
2. უნდა ჰქონდეთ სანიმუშო აკადემიური მოსწრება (საბუთებს თან უნდა ახლდეს დიპლომის დანართი)
3. კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას

პროგრამა არ ითვალისწინებს გამარჯვებულთა ოჯახის წევრების დაფინანსებას

განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 10 მარტი, 2006

დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ: ფონდი "საერთაშორისო განათლების ცენტრი", ჭოველიძის ქ, 10 , ტელ: 25 26 15.



# აშშ საელჩო თბილისში

**2006 წლის 21 იანვარს და 11 თებერვალს აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს.**

21 იანვარს აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო ავეჯი, მოწყობილობები და ფაილის კარადები.**

11 თებერვალს აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო და საოფისე ავეჯი და მოწყობილობები.**

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" გარანტიის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი პასუხისმგებელია აუქციონზე შეძენილი ნივთების განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

მსურველთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება დილის 9:00-დან 11:00 სთ-მდე. აუქციონი დაიწყება დილის 11:00სთ-ზე.

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:

**ლილო, რუსთაველი ქ. 4, აშშ საელჩოს საწყობის ტერიტორია.** ცნობებისათვის დარეკეთ: 277000 შიდა 7201.



სტუმრად მაია ჭალაგანიძესთან

# "ოცნების კაბინეტის" პრემიერი

პირველი გვერდიდან

ზეპირი ისტორიული მასალების საფუძველზე მან დაიწყო კომპრომატების შეგროვება საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებული ვანდალური აქტებისა და ომის დანაშაულებების შესახებ, რის გამოც მის დაპატიმრებას ცდილობდნენ და 1989 წელს მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით გადაურჩა პატიმრობას. 1990-1992 წლებში იგი გახლდათ ესტონეთის კონგრესის, უზენაესი საბჭოს და საკონსტიტუციო ასამბლეის წევრი. 1992 წლიდან ესტონეთის პარლამენტის წევრი და 2003 წლიდან - დამკვირვებელი ევროპარლამენტში. ესტონეთის ისტორიაში პირველ დემოკრატიულ არჩევნებში ლაარი ხელმძღვანელობს პოლიტიკურ პარტია "პრო პარტია"-ს, რომელმაც გამიმარჯვა და ის ესტონეთის პრემიერ-მინისტრი გახდა. პრემიერ-მინისტრობის დროს ლაარმა განახორციელა ერთერთი ყველაზე რადიკალური რეფორმა, რომელმაც ესტონეთი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე წარმატებულ გარდამავალ ქვეყნად აქცია. გატარებული რეფორმებისთვის მარგარეტ ტეტჩერმა მას თავისი "შვილიშვილი" უწოდა. მიუხედავად იმისა, რომ რადიკალური რეფორმები ქვეყნისათვის მტკივნეული იყო, მან გამოიღო შედეგი და სხვადასხვა პროტესტების იგნორირებით ლაარი ესტონეთის ისტორიაში მთავრობის სათავეში ყველაზე მეტ ხანს დარჩა. ცენტრალურ ევროპაში, მარტ ლაარი იყო პირველი რეფორმატორი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ხელახლა აირჩიეს. 2002 წელს ესტონეთის კულტურული მემკვიდრეობის ფონდმა (Estonian Heritage Foundation) და Wall Street Journal-მა ესტონეთი აღიარეს, როგორც პირველი პოსტ-კომუნისტური სახელმწიფო ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიის მიხედვით. მათ განაცხადეს, რომ ესტონეთი წარმოადგენს მსოფლიოში მეოთხე ყველაზე თავისუფალ ეკონომიკურ სახელმწიფოს. ამავე წელს ლაარი გადადგა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან. ამავე წელს დავოსის ეკონომიკური ფორუმის მიერ, "მსოფლიოს ოცნების კაბინეტის პრემიერ-მინისტრად" იქნა აღიარებული. მარტ ლაარი გახლავთ მსოფლიოს გადამხდელთა ასოციაციის მრჩეველთა საბჭოს წევრი .



რადგანაც გაზი ახლა პოლიტიკურ იარაღად იქცა, ვფიქრობ, რომ ეს აიძულებს ევროპას, სერიოზულად დაფიქრდეს ამ ურთიერთოებზე. რა თქმა უნდა ეს რუსულ გაზზე მთლიანად უარის თქმას არ ნიშავს, მაგრამ რაღაც უნდა შეიცვალოს.

თუ რუსეთი ხედავს, რომ სირთულეებს თავს აღწევ, ბევრჯერ აღარ შეგიქმნის ამ სირთულეებს.

მივდიოდი გაბრაზებულ ადამიანებთან, ვესაუბრებოდი - ეს იყო ჩემი სამუშაო. ამგვარი სირთულეები ნორმალურია, ეს დემოკრატიაა. პრემიერის პოსტზე მყოფ ადამიანს სწორედ ამიტომ უხდიან ჯამაგირს. როდესაც ამ თანამდებობაზე მიდიხარ, ეს უნდა იცოდე.

**- თქვენ თბილისში აღმოჩნდით კიდევ ერთხელ გართულებული რუსულ-ქართული ურთიერთობების ჟამს. როგორ უნდა დაიცვას თავი რუსეთის მეზობელმა ქვეყანამ ასეთ დროს?**

- უნდა არსებობდეს ენერგიის მიღების სხვადასხვა საშუალებები. ამის გარეშე არ შეიძლება, რადგან ასეთი "სიურპრიზები" მუდმივად იქნება. რაც უფრო სწრაფად მოხერხდება ამ საშუალებების მოძებნა, მით უფრო უკეთესია თქვენთვის.

**- რით არის განპირობებული ესტონეთის ენერგოსისტემების მდგრადობა და რამდენად იყო დამოკიდებული თქვენი ქვეყანა რუსეთის ენერგომატარებლებზე?**

- ბევრი რამით იყო დამოკიდებული, მაგრამ ხანგრძლივი და ძალზე კონკრეტული მუშაობა გავწიეთ, რათა დამოკიდებულების ეს დონე შეგვემცირებინა. რაც უფრო მეტად საბაზრო იქნება ქვეყანა, უკეთესია ამ ქვეყნისთვის.

**- იმ რთულ პერიოდში თქვენ პრემიერ-მინისტრი იყავით, როგორ დააღწიეთ თავი?**

- დიახ, ურთულესი პერიოდი იყო, ჩვენთანაც ზამთარში გათიშეს გაზი, ელექტროენერგია და საერთოდ, როცა იცი, რა შეიძლება გააკეთოს რუსეთმა... რაც ახლა თქვენს ქვეყანაში მოხდა, ეს ჩვენთვის არავითარ სიახლეს არ წარმოადგენს.

რაღაცნაირად დავაღწიეთ თავი. მაშინ სხვადასხვა ზომები მივიღეთ, რის გახსენებაც ახლა არ მინდა. რაც მთავარია, ამისთვის მზად ვიყავით და რთული მდგომარეობიდან გამოსვლა ძალიან არ გაგვიჭირდა. თუ რუსეთი ხედავს, რომ სირთულეებს თავს აღწევ, ბევრჯერ აღარ შეგიქმნის ამ სირთულეებს.

**- ენერგეტიკული სირთულეები ახლა ევროპასაც შეექმნა. ეს სიცივეები რუსეთისა და ევროპის საკმაოდ დამთბარ ურთიერთობებსაც დაეტყობა?**

- რადგანაც გაზი ახლა პოლიტიკურ იარაღად იქცა, ვფიქრობ, რომ ეს აიძულებს ევროპას, სერიოზულად დაფიქრდეს ამ ურთიერთოებზე. რა თქმა უნდა, ეს რუსულ გაზზე მთლიანად უარის თქმას არ ნიშავს, მაგრამ რაღაც უნდა შეიცვალოს. ეჭვგარეშეა, რომ ენერგეტიკული პოლიტიკის ცვლილებებისთვის ახალი საშუალებები უნდა გამოიძებნოს, რათა სირთულეების გარეშე მივიღოთ გაზი და ენერგომატარებლები.

**- 2002 წელს, დავოსის ეკონომიკური ფორუმმა მთელი მსოფლიოს საუკეთესო მინისტრების კაბინეტი შეადგინა და "მსოფლიოს ოცნების კაბინეტის პრემიერ-მინისტრად" გაღიარეს. პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებმა სხვადასხვა საშუალებებით, მაგრამ ერთნაირი გზა გაიარა დამოუკიდებლობისკენ. შეგიძლიათ, გვითხრათ ქვეყნის საუკეთესო მენეჯმენტის რამდენიმე მეთოდი?**

- თუ მოკლედ ვიტყვით, ეს ერთ წინადადებაში ჩაეტევა - საბაზრო ეკონომიკა, დემოკრატია და კანონმდებლობა. თუ ეს სამი რამ არსებობს, ადვილია გზის გავლა. ამ გზას თუ გადავხედავთ, ჩემს ქვეყანასთან მსგავსებას დავინახავთ, მაგრამ აქ ეს ყველაფერი ნელი ტემპებით მიმდინარეობდა. როცა აქ ვარ, ასე მგონია, 1993-1994 წლის ესტონეთში ვარ. რეფორმების რიცხვი იმდენივე და ისეთია, რამდენიც მაშინ ჩვენთან იყო და რომლის გაკეთებაც აუცილებელია. კარგად უნდა გაითვალოს გადაწყვეტილებების სწორი მიმართულებები. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ რეფორმები კამპანიური არ უნდა იყოს, ეს განუწყვეტლივ უნდა მიმდინარეობდეს.

რაც პრემიერობისას ჩემთვის დავისახე, ეს არის საბაზრო, გეგმიურ ეკონომიკაზე გადასვლა. როცა გაქვს გეგმა და ადამიანებს ამის გაკეთებას დაპირდები, უნდა გააკეთო. რაც მთავარია - არ უნდა დაპირდე ადამიანებს ბევრ რამეს, რადგან როცა დანაპირებს ვერ ასრულებ, ეს შეიძლება ცუდად დამთავრდეს.

**- როგორც ყველა რეფორმატორი, ალბათ, ბევრს არც თქვენ უყვარდით თქვენს ქვეყანაში...**

- ამას უნდა შეეგუო, ეს ნორმალურია. როდესაც ამდენ და ასეთ რეფორმებს ატარებ, შეუძლებელია, პოპულარული დარჩე.

**- ორგზის იყავით პრემიერი... 10 წელზე მეტი გავიდა და დღეს ესტონეთი ერთ-ერთი მზარდი ქვეყანაა ევროპაში. ისტორია როგორ აფასებს თქვენს როლს?**

- ეს ნაკლებად მაინტერესებს. ვიყავი ერთადერთი, რომელიც უკან დააბრუნეს პოსტზე და ამით ადამიანებმა თქვეს, რომ ნაკლებპოპულარული და რეფორმატორული გადაწყვეტილებებია საჭირო.

**- რეფორმებისა და ქვეყნის გადარჩენის გზაზე თქვენს მიერ მიღებული მრავალი გადაწყვეტილება გაპროტესტდა. კონკრეტულად რომელი პროტესტი გახსოვთ ყველაზე "მწარედ"?**

- ამგვარი პროტესტები დემოკრატიის თანმდევი პროცესია. გულახდილად რომ ვთქვა, ნეგატიურად არც ერთი მათგანი არ მახსენდება. მივდიოდი გაბრაზებულ ადამიანებთან, ვესაუბრებოდი - ეს იყო ჩემი სამუშაო. ამგვარი სირთულეები ნორმალურია, ეს დემოკრატიაა. პრემიერის პოსტზე მყოფ ადამიანს სწორედ ამიტომ უხდიან ჯამაგირს. როდესაც ამ თანამდებობაზე მიდიხარ, ეს უნდა იცოდე. საბჭოთა წყობის დროს საზოგადოება იმდენად დიდი ხანი იყო რაიმენაირი პროტესტის გარეშე, რომ მერე ყველას და ყველაფერს აპროტესტებდნენ.

**- პრემიერობისთვის საკმაოდ ახალგაზრდა, 32 წლის იყავით...**

- ახალგაზრდობის მიუხედავად, ყველაფერს პოზიტიურად ვუყურებდი და არ ვბრაზობდი. ამ მხრივ კმაყოფილი ვარ. რადგან ყოველთვის ვიცოდი, რომ ამ სამუშაოს მხოლოდ მე არ ვასრულებდი, ამას მთელი ერი აკეთებდა. მე, უბრალოდ, პატარა რგოლი ვიყავი ამ საქმეში. სიმართლე გითხრათ, არასდროს არ მინდოდა პრემიერობა, ეს ნამდვილად არ იყო ჩემო ოცნება.

**- აბა, რა გსურდათ?**

- ისტორიკოსი ვარ. წიგნების წერა მიყვარს. წარსულის ძიება უფრო მიტაცებს, რითიც, სამწუხაროდ, ხშირად არ ვარ დაკავებული.

**- წარსულის გარეშე არც აწმყოა და არც მომავალი... ჭკვიანი ხალხი სხვის შეცდომებზე სწავლობს და, ალბათ, ჭკვიანი ქვეყანაც. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება ჩვენთვის იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე გამოცდილება სხვა მოწინავე ევროპული ქვეყნებისა. რა შეცდომები გველის ახლა და როგორ შეიძლება ეს ყველაფერი თავიდან ავიცილოთ?**

- როდესაც უცხოელი მრჩეველი, კონსულტანტი გყავს, და ის საკუთარ გამოცდილებაზე გესაუბრება, ეს ძალიან კარგია, მაგრამ რა თქმა უნდა, ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღო. ყველა უცხოელი ექსპერტი რაღაცას აუცილებლად გირჩევს, მაგრამ ეს ყოველთვის არ შეიძლება კარგი იყოს. პირველი წესი, რაც უნდა დაიმახსოვრო, ეს ფიქრია, თავად და თან სისტემატურად უნდა იფიქრო. მეორე - უნდა გქონდეს გადაწყვეტილებების მიღების გამბედაობა. რეფორმებისთვის ყველაზე დიდი საფრთხე კამპანიურობაა. რეფორმების ერთი კამპანია მეორეს არ უნდა ცვლიდეს. თუ დაპირებებს იძლევი და მით უფრო, დასავლურ ორგანიზაციებს და გაერთიანებებს პირდები, ის აუცილებლად უნდა შეასრულო, რადგან შეუსრულებლობის შემთხვევაში ავტორიტეტი დაბლა ეცემა და ეს ევროსტრუქტურებში ინტეგრირებას ძალიან უშლის ხელს. თუ რაიმეს პირდები, გააკეთე. თუ დარწმუნებული არ ხარ, ნუ პირდები. ყველაზე საშიში ფუჭი დაპირებებია.

**- ორგზის შეხვდით პრეზიდენტ სააკაშვილს და მისი სურვილით, მთავრობასაც. რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ?**

- ცოტათი სახლში ვგრძნობ თავს, რადგან ამ შეხვედრების სული, განწყობა ჩემთვის უცხო არ არის. გამახსენდა 1993 წელი, მაშინ პრემიერი ვიყავი. თანამშრომლობის განწყობა და შემართება ადეკვატური იყო და ეს მომწონს. ცოტათი სევდამაც შემიპყრო, რადგან ასეთი განწყობა, როგორც წესი, დიდხანს არ გასტანს ხოლმე. თუ ეს დიდხანს გასტანს, ქვეყნისა და დემოკრატიისთვის ძალიან კარგი იქნება.

**- საინტერესოა, რას ეკითხებიან ხოლმე მთავრობის წევრები კონსულტანტებს?**

- როგორ გითხრათ... აბსოლუტურად ყველაფერს. იმის თქმა უფრო გამიჭირდება, რაზეც არ გვისაუბრია - პოლიტიკა, ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია, ეკონომიკურ რეფორმებზე, პოლიტიკურ რეფორმებზე, დიდ და მცირე ინვესტიციებზე და ასე შემდეგ. მოკლედ, ძალიან ბევრ რამეს მეკითხებოდნენ.

**- სანამ ჩამოხვიდოდით, გარკვეული წარმოდგენა ალბათ გქონდათ ჩვენს ქვეყანაზე, აქ მიმდინარე მოვლენებზე, ხელისუფლებასა და ოპოზიციაზე... თქვენი წარმოდგენა რეალობას დაემთხვა?**

- ოპოზიციას რამდენიმე წუთში შევხვდები და შთაბეჭდილებებიც მერე შემექმნება. ვფიქრობ, რომ აქ შექმნილი ვითარება იმას სჯობს, ვიდრე ამას გარედან ხედავ. თქვენმა პრეზიდენტმა ბევრი რამ მითხრა იმის შესახებ, რაც რეალურად გაკეთდა.

**- აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიისა და მმართველობის პროგრამა ორ ნაწილად დაიყო. პირველი ნაწილი სახელმწიფო სექტორის შეცვლის საკითხში რეფორმატორების დახმარებას გულისხმობდა. მეორე კი - არასახელმწიფოებრივი სექტორის ჯანსაღად შენარჩუნებას. ეს უკანასკნელი საკმაოდ რთული გასაკეთებელია ხელისუფლებისთვის, როგორ მოახერხეთ?**

- საერთოდ, ამ უკანასკნელს ხელისუფლება ვერ გააკეთებს, ეს თავად პოლიტიკოსების პრობლემაა. რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რათა ქვეყანაში ყველასთვის - ხელისუფლებისა და ოპოზიციისთვისაც თანაბარი პოლიტიკური შესაძლებლობები გაჩნდეს. ეს დემოკრატიის ნაწილია. რამდენად იქნება ოპოზიცია ძლიერი, ეს კონკრეტულ ადამიანებზეა დამოკიდებული.

**- პრემიერობისას, რა თქმა უნდა, არ გიყვარდათ ოპოზიცია, ის არც ერთ ხელისუფლებას არ უყვარს...**

- რა თქმა უნდა, არ მიყვარდა, მაგრამ არც მძულდა.

**- მედიას და ოპოზიციას უდიერად მოიხსენიებდით ხოლმე?**

- ოპოზიციას ძალიან ცუდად მოვიხსენიებდი ხოლმე. მედიას - ისე არა. რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვიყავი ოპოზიციით. უბრალოდ, ხმამაღლა ეს ცუდი სიტყვები, ალბათ, არ უნდა თქვა.

**- შეგიძლიათ თქვათ, როდის მთავრდება რევოლუცია და როდის იწყება სტაბილური დემოკრატიული მოძრაობა?**

- დემოკრატია - ეს არამხოლოდ პოლიტიკური, არამედ ჩამოყალიბებული დემოკრატიული ინსტიტუციებია. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი კანონიერად არის თავის ადგილზე და არ იცვლება. ადმინისტრაცია მუშაობს და სათავეში მყოფი პოლიტიკოსები რომც იცვლებოდნენ, ინსტიტუციები მაინც ნორმალურ რეჟიმში მუშაობენ.

**- ალბათ, ჩვენთან რევოლუცია არ დამთავრებულა - პარლამენტი, სასამართლო, ოპოზიცია, მედია - სუსტია...**

- ეს სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციებია. ოპოზიციის სისუსტე კი თავად ოპოზიციის პრობლემაა, ამას ხელისუფლება ვერ უშველის. ინსტიტუციები სხვა საქმეა, ამას განსაკუთრებულად სჭირდება განვითარება.

**- რა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნაბიჯები უნდა გადაიდგას ახლა საქართველოში?**

- ძალიან ბევრი ამგვარი ნაბიჯია გადასადგმელი. ბატონ ბენდუქიძეს, რომელიც რეფორმებს კურირებს, მოკლევადიანი გეგმებიც აქვს და გრძელვადიანისაც. იმედი მაქვს, რომ ეს გეგმად არ დარჩება და შესრულდება.

**- ბალტიის ქვეყნებმაც და ჩვენც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ერთდროულად დავიწყეთ. მაშინ აქ ამბობდნენ, რომ ჩვენგან განსხვავებით ისინი ცივი გონებით უდგებიან საქმეს და სსრკ-დან უსისხლოდ დააღწიეს თავიო...**

- არა მგონია, ეს დამოკიდებული იყოს იმაზე, ემოციურია ერი თუ ნაკლებემოციური. ჩვენ კი პირიქით ვფიქრობდით - სწორედ იმიტომ იბრძვიან, რომ ასე ემოციური და ცხელები არიანო და დარწმუნებული ვიყავით, რომ თქვენ ყველაფერი უკეთ გამოგივიდოდათ. ვფიქრობდით, რომ ქართველები იმდენად კარგი მეწარმეები არიან, რომ ყველაფერი ძალიან კარგად გამოუვათო. ჩვენთვის უაღრესად ნეგატიური სიურპრიზი იყო, რაც შემდეგ თქვენს ქვეყანაში მოხდა. ეს კი არ არის ნაციონალური თვისებების ბრალი. უბრალოდ, გარკვეული დროის მანძილზე არ მიიღებოდა ის სწორი გადაწყვეტილებები, რომელიც თქვენს ქვეყანას სჭირდებოდა. სწორი გადაწყვეტილება ხშირად არაპოპულარულიც არის და ამის გამბედაობა უნდა გქონდეს, რადგან სხვაგვარად ერს ყველაფერი ძალიან ძვირი დაუჯდება. როცა არ აქვს არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმის გამბედაობა, მაშინ ხელისუფლება აბსოლუტური სისულელეებით ერთობა და აღარ იცის - დემოკრატიული ინსტიტუციები აშენოს, არაკეთილმოსურნე მეზობლებს ეომოს თუ არაფერი აკეთოს...

**- არსებობს ერთი საყოველთაო ტენდენცია - ხელისუფლების მიერ ძალაუფლების მოხვეჭა. როგორ და რამ უნდა დააბალანსოს ის, რომ ახალგაზრდა ხელისუფლება ძალაუფლებით ზედმეტად არ გაერთოს?**

- ძალიან რთული სათქმელია. როდესაც გარშემო უამრავი პრობლემაა, ახალგაზრდა ლიდერი ცუდი არ არის, რადგან ის არის პირდაპირი, უხეში და ვერ ანსხვავებს შეუძლებელსა და შესაძლებელს. პირადად მე ბევრი შეუძლებელი რამ გავაკეთე. ამ გაგებით ახლაგაზრდობა ძალიან კარგია. ახალგაზრდობა არ არის სასიკვდილო ავადმყოფობა, ეს კარგი ავადმყოფობაა და დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ლიდერი ახალგაზრდაა თუ ასაკოვანი. მგონი, თქვენ იცნობთ ძალაუფლებაზე ჩაბღაუჭებულ ხნიერ პოლიტიკოსებს... ეს გამოცდილება გაქვთ.


## სწავლა დიდ ბრიტანეთში

- ლონდონი, ოქსფორდი კემბრიჯი, ბრაიტონი
- ინგლისური ენის ცენტრი თბილისში

- გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში ინგლისური ენის კოლეჯებში და საუნივერსიტეტო პროგრამებზე: A-Level, Foundation, და Pre-MBA. საქართველოს ბანკის მიერ სწავლების დაფინანსების შესაძლებლობით.
- მომზადებას ინგლისურ ენაში თანამედროვე მეთოდებით მაღალკვალიფიციური ინგლისელი და ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით. აბიტურიენტების მომზადებას ეროვნული გამოცდებისათვის.

საგანმანათლებლო სააგენტო ELL
თბილისი, ვაჟა-ფშაველას 30ა II სართული
ტელ: 39 92 46, 899 50 40 12
E-mail: n_makatsaria@yahoo.com

Kuzanov Clinic კუზანოვის კლინიკა

1. რინოპლასტიკა
2. მკერდის კორექცია
3. მკერდის აღდგენითი ოპერაციები მასტექტომიის შემდეგ
4. მუცლის პლასტიკა
5. სახის ცირკულარული დაჭიმვა
6. ლიპოსაქცია
7. კელოიდური ნაწიბურების მოცილება
8. დამწვრობისშემდგომი კონტრაქტურების პლასტიკა
9. შეძენილი და თანდაყოლილი დეფექტების კორექცია
10. პერიფერიული ნერვების მიკროქირურგიული აღდგენა
11. ვარიკოზული ვენების ამოკვეთა
12. ადენოიდებისა და პოლიპების ენდოსკოპიური ამოკვეთა
13. მხედველობის ქირურგიული კორექცია
14. ოპერაციები მენისკებზე

თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმია
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

ყურადღება!
რესტორანი "დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207

გამაჯანსაღებელი ცენტრი
ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







სიახლე
გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge